Mathematic-chemical investigation of straight-chained alkanes was carried out within the scope of the quasi-ANB-matrices method. Two correlation equations of a structure-properties type were derived. One correlation is excellent, another – satisfactory.

Keywords: straight-chained alkanes, quasi-ANB-matrices, correlation equation.

თავისუფალი ამინომჟავური პროცესის ბანსაზღვრა მაღალეფების თხევადი შრომატოგრაფის ბამოყვებით

შათირიშვილი შ.ი., ბერიშვილი ლ.ა., შათირიშვილი ი.შ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ცნობილია, რომ თავისუფალი ამინომჟავების პროცესი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ დვინის გემოსა და ფერს [1,2], ამიტომ დვინოებში ამინომჟავური პროცესის განსაზღვრას, უფროდაუფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენს შემთხვევაში, ინტერესს იმსახურებს ამინომჟავების შედგენილობის ცვლილების გაზომვა, დვინის დამველების საწყის ეტაპზე და თბოდამუშავების სხვადასხვა პირობებში, დროის ხანგრძლივობასა და ტემპერატურაზე დამოკიდებულებით. ვინაიდან მოსალოდნელი იყო ამინომჟავების საკმაოდ დაბალი შემცველობა, ამიტომ აუცილებელი გახდა წინასვეტური დერივატიზაციის ჩატარება, ფლუერესცენციით დეტექტირებისას აღმოჩენის ზღვარის ასამაღლებლად. ტრადიციული ოგაგენტი OPA (ორთოფტალის დიალდეპიდი-2-მერკაპტოთანოლი) მეტად მოსახერხებელია დერივატიზაციის ჩასატარებლად, მაგრამ ის არ ოგაგირებს პროლინთან და ჰიდროქსოპროლინთან. ამიტომ გამოყენებულ იქნა OPA-თან ოგაგიციის კომბინირებული პროცედურა 3-მერკაპტოპროპინის მეტად და 5-ფტორინმეთილ ქლორფორმიატის (FMOC-Cl) დამატება შესაბამისად პირველადი და მეორეული ამინომჟავების განსაზღვრის მიზნით.

ობიექტები და კვლევის მეთოდები

საანალიზოდ გამოყენებულ იქნა დვინოების „კახეთის“ და „რქაწითელის“ როგორც დამუშავების სხვადასხვა სტადიის ნიმუშები, ისე მზა დვინოები. სულ ათი ნიმუში. ნიმუშები იფილტრებოდა $0,45\mu$ ფორიანობის მილიპორის ფილტრში და ხდებოდა მისი 5-ჯერადი განზავება $0,1N HCl$ ხსნარით.

გაზომვებს ვატარებდით მაღალეფებური თხევადი ქრომატოგრაფიის მეთოდით (მეთქმ) ხელსაწყოზე „ბიოტრონიკ LC 6001“, მასთან მიერთებული ტალღის სიგრძის პროგრამირების უნარის მქონე ფლუორესცენტული დეტექტორით. ქრომატოგრაფიული სვეტის ზომები იყო $2,1X200\text{nm}$, რომელიც შევსებული იყო სორბენგ C_{18} 5μ ზომის ნაწილაკებით. გამოყენებული იყო აგრეთვე $2,1X15$ მმ ზომის დამცავი წინასვეტი.

მოძრავი ფაზა: პროგრამირდებოდა როგორც მოძრავი ფაზის თვისებათა ცვლილება, ისე მისი ხარჯი. ორმაგმა პროგრამირებამ (თვისებები და ხარჯი) საშუალება მოგვცა ანალიზისათვის მისაღებ დროში მიგვეღო შედეგები დაყოფის კარგი პარამეტრებით.

ელუენტი A: $0,018\%$ ტრიეთოლამინის შემცველი 20mM ნატრიუმის აცეტატის ბუფერული ხსნარი ($\text{pH } 7,2$ მიიღწეოდა ძმარმჟავას 2N ხსნარით).

ელუენტი B: 40% აცეტონიტრილისა და 40% მეთანოლის შემცველი $20\%-იანი$ 100mM ნატრიუმის აცეტატის ბუფერული ხსნარი ($\text{pH } 9,1$ მყარდებოდა 2% ძმარმჟავას ხსნარით). გრადიენტული რეჟიმი მოცემულია ცხრ. 1-ში.

ცხრილი 1. გრადიენტული რეჟიმის ცვლილების ხასიათი

დრო(წთ)	0,0	2,0	6,5	17,0	18,5	24,0	25,0
ელუქნტი A	100	93	77	40	0	0	0
ელუქნტი B	0	7	23	60	100	100	100
ნაკადი მლ/წთ	0,45	0,45	0,45	0,45	0,45	0,45	0,45

წარმოებულების მიღება: მიკროშემრევში შეგვევავდა 5 მკლ ბორატის ბუფერი (pH 10,4) და 1 მკლ რეაგენტი OPA. ვანჯლრევდით 7-10-ჯერ, რის შემდეგაც შეგვევავდა 1 მკლ FMOC-Cl. კვლავ ვანჯლრევდით 3-4-ჯერ, რის შემდეგაც ნარევის 5მკლ შეგვევავდა ინჟექტორში. დეტექტირებას ვახდენდით ფლუორესცენციის ტალღის სიგრძის ცვლილების ფარგლებში 340ნმ/450 ნმ პირველადი ამინომჟავებისათვის და 237ნმ/340ნმ მეორეული ამინომჟავებისათვის. მეორე თპერაციის აუცილებლობა ნაკარნახევი იყო პროლინის განხეორებითი განსაზღვრისათვის.

დეტექტირების საზღვრები ლიზინისათვის შეადგენდა 6,3 პიკომოლ/მკლ, ჰიდროქსიპროლინისთვის 6,2, პროლინისთვის 122, დანარჩენი ამინომჟავებისათვის კი საშუალოდ 1,3 პიკომოლ/მკლ. სხვადასხვა ამინომჟავებისათვის გაზომვის სიზუსტე სამ პარალელურ გაზომვას შორის მერყეობდა და შეადგენდა 12%-დან პროლინისათვის, 25%-მდე არგინინისათვის. გაზომვებს ვატარებდით ისეთი ძირითადი ამინომჟავებისათვის, როგორიცაა ტრიონინი, ჰისტიდინი+გლუტამინი, ალანინი, არგინინი, მეთიონინი და პროლინი. შედეგები მოყვანილია ცხრ. 2-ში.

ცხრილი 2. ამინომჟავური შდგენილობის ცვლილება დენომასალებში „რქაწითელი“ და „გახეთი“ მეთქ-ის მონაცემების მიხედვით

კომპონენტები დენომასალა და თბოდამუშა- ვების პირობები	Trio	HiS+GLU	ALN	ARG	MeT	PrO	საერთო შემცველობა
„რქაწითელი“ 40°C 5დღე-დამე 40°C 15დღე-დამე 50°C 15დღე-დამე 50°C 25დღე-დამე „რქაწითელი“ 2 წლის	22,3 26,2 27,5 29,1 44,7	40,1 43,3 51,3 44,6 60,5	79,3 83,4 85,3 87,7 95,2	90,6 93,7 95,6 99,3 123,5	60,1 63,8 64,9 70,0 85,4	1001 1022 1034 1041 1570	1421 1433 1437 1459 2101
„გახეთი“ 40°C 5დღე-დამე 40°C 15დღე-დამე 50°C 15დღე-დამე 50°C 25დღე-დამე „გახეთი“ 2წლის	33,2 35,1 36,2 38,3 49,6	50,1 53,4 55,5 59,1 70,3	90,1 93,4 95,7 98,3 124,7	104,1 107,2 110,1 115,2 154,1	62,1 64,5 66,8 69,7 90,1	1113 1145 1163 1178 1685	1579 1623 1644 1675 2309

ცხრ. 2-ში ასევე მოცემულია როგორც ძირითადი ამინომჟავების გაზომვის შედეგები, ისე საკვლევ ნიმუშებში მათი საერთო შემცველობა. ჩანს ამინომჟავების კონცენტრაციის ცვლილების გარკვეული კანონზომიერება, რომელიც გამოიხატება მათი კონცენტრაციების ზრდაში დამკვლების დროისა და ტემპერატურაზე დამოკიდებულებით.

ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ ექვსი ძირითადი ამინომჟავა წარმოადგენს ამინომჟავების საერთო შემცველობის 89-95%. ნაჩვენებია, რომ თბოდა-მუშავება საშუალებას იძლევა თავისუფალი ამინომჟავების შემცველობით, საქმაოდ სწრაფად მიუახლოვდეთ კლასიკური მეთოდით მიღებულ დვინოებს.

ლიტერატურა

1. И.Ш. Шатиришвили. Хроматография грузинских вин. –Тбилиси, Ганатлеба, 1981, 71с.
2. A.M.P. Vanconcelos, H.J.C. Neves. //J. High Rezolution chromatogr. 1990, 13, 494 p.

SUMMARY

DETERMINATION OF THE FREE AMINO-ACID PROFILE BY MEANS OF HIGH PERFORMANCE LIQUID CHROMATOGRAPHY

Shatirishvili Sh.I., Berishvili L.A. and Shatirishvili I.Sh.

Georgian Technical University

The paper deals with the changes in the free amino-acid profile in the wines “Rkatsiteli” and “Kakheti” in relation to the duration of thermal heating and temperature variation. Main amino-acids, such as threonine, istidine+glutamine, alanine, arginine, methionine and proline, were determined.

Keywords: liquid chromatography, derivatization, amino-acids, detector.

ოშიდაციის პრეზენტი „ცოლიკოშვილი“-ს ჯიშის ურმნისაგან დგინდასასლების
წარმომადისას

ჭავასელი ლ.მ., გელიაშვილი ზ.ე., ხომასურიძე მ.პ., მესხიძე მ.ხ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ცოლიკოშვილი ადგილობრივი სტანდარტები ვაზის ჯიშია. იგი ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონებში და მისგან ამზადებენ მაღალხარისხოვან სუფრის თეთრ მშრალ და ბუნებრივივად ნახევრადტებილ ღვინოებს. ღვინო ხასიათდება გამოკვეთილი ჯიშური არომატით, სინაზით, ჰარმონიულობით, მინდვრის ყვავილების და ხილის არომატით.

ღვინის უანგბადით გამდიდრება ტექნოლოგიური პროცესის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა დოზით ხდება. 20°C -ზე ღვინის ჰაერთან შეხებისას ღვინოს აქვს უნარი შთანთქოს 6მ/ლ-ზე ($8,6\text{მგ/ლ}$) O_2 -ი. წითელ ღვინოს მეტი უანგბადის შთანთქმის უნარი აქვს ვიდრე თეთრს.

ზომიერი რაოდენობით უანგბადი დადებით ზეგავლენას ახდენს ღვინოზე, სქენს მას კომპლექსურობას, ხოლო უანგბადის სიჭარბე საბოლოოდ აუარესებს ღვინის ხარისხს. ოქსიდაციისას ღვინოში იზრდება აცეტალდეპიდის, ფენილაცეტალდეპიდის, 3-(მეთილთიო)პროპიონალდეპიდის, 1,1,6-ტრიმეთილ-1,2 დეპიდრონაფტალენის და 4,5-დიმეთილ-3-კიდროქსი-2(5H)-ფურანონის შემცველობა, შედეგიდ ღვინოში ყალიბდება გადამწიფებული დაუანგული ხილის, ცხოველური, ნავთის და მინერალური ტონები. ოქსიდაციისას არასასურველი არომატების წაროქმნასთან ერთად ღვინო კარგავს დამახასიათებელ ჯიშურ არომატს [1].

თეთრი ღვინო ნაკლებ ფენოლურ ნაერთებს შეიცავს, ვიდრე წითელი, მაგრამ ოქსიდაციისას ღვინოში არსებული ფენოლური მჟავების განსაკუთრებით კი პიდროქსიდარიჩინის მჟავის, კატეხინებისა და ქვერცეტინის დაუანგვა იწვევს ღვინის გაყავისფრებას. გაყავისფრებისაკენ მეტი მიდრეკილება ახასიათებთ იმ ღვინოებს, რომლებიც დამზადებულია ყურძნის კანთან ხანგძლივი კონტაქტით და ნაქაჩი ფრაქციებისაგან. ოქსიდაციისას ყავისფერი შეფერილობის ფორმირებაზე ზეგავლენას ახდენს ღვინოში ფენოლების, რკინისა და გოგირდის დიოქსიდის შემცველობა. [2]

ღვინის ოქსიდაციისაგან დაცვის უნარით ხასიათდება ღვინის შემადგენელი ნაერთი - გლუტათიონი, თუ თავისუფალი გლუტათიონის კონცენტრაციაა $30-100$ მგ/ლ. ღვინოში მის შემცველობაზე ზეგავლენას ახდენს ყურძნის გადამუშავების პროცესი [3,4].

გოგირდის დიოქსიდის გამოყენება ღვინის ოქსიდაციისაგან დაცვის უნივერსალური მეთოდია. მეღვინე ტექნოლოგია თქვიდაციის პრეცენციისათვის მუდმივად უნდა აკონტროლოს უანგბადის დონე ღვინოში, გამოიყენოს ენოლოგიურ პრაქტიკაში ნებადართული ანტიოქსიდანტები (ასკორბინის მჟავა და სხვა). გოგირდის დიოქსიდის გამოყენებით, 20 მგ/ლ-ზე თავისუფალი SO_2 -ის დოზის შემთხვევაში შესაძლებელია ოქსიდაზური ფერმენტების ინპიბაცია. ოქსიდაზური ფერმენტების ინპიბაციას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კეთილშობილი სიდამპლიტ დაავადებული ყურძნის შემთხვევაში. ბოტრიტისის ბაქტერიები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ახდენენ ყურძნის კანზე ლაკაზების აკუმულირებას. ყურძნის გადამუშავების შემდეგ ტებილსა და ღვინოში მოხვედრილი ოქსიდაზური ფერმენტების აქტივობით იუანგება ფენოლური ნაერთები: რეზერატროლი, ანტოციანინები და ტანინები; ბენზილ ალკოჰოლი - ბენზალდეპიდამდე და ღვინოში მწარე ნუშის ტონი ვითარდება; გასათვალისწინებელია, რომ დაავადებული ყურძნიდან მიღებული ტებილი შეიცავს ძმარმუავა ბაქტერიებს, შესაბამისად, არასულფიტორებულ ტებილში მაღალია ღვინის დამმარების რისკი. დაავადებული ყურძნიდან ღვინოში გადადის *Candida stellata*,

რომელიც ავითარებს როგორც სასიამოქნო გარგრის არომატს, ასევე ხელს უწყობს ეთილაცეტატის წარმოქმნას.

უანგბადის ჭარბი შემცველობა, მაღალი ოქმპერატურა და არეში ცხოველქმედი ოქსიდაზური აქტივობის ფერმენტები ქმნიან მთელი რიგი მიკრობიოლოგიური დაავადებების და ოქსიდაზური კასის განვითარების რისკს [5].

ექსპერიმენტისას გამოყენებული ყურძნის ჯიში „ცოლიკოური“ დასავლეთ საქართველოს მევენახეობის ზონებშია კულტივირებული, და არსებული კლიმატური პირობები ხშირ შემთხვევაში ხელს უწოდს ვენახში კეთილშობილური სიდამპლის დაავადების განვითარებას. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიზანია „ცოლიკოური“-ს ჯიშის ყურძნისაგან დამზადებული ღვინომასალის ოქსიდაციისაგან პრევენციის ოპტიმალური ტექნოლოგიური სქემის შემუშავება. კვლევა განვახორციელეთ ღვინის საწარმო „ტიფლისკი ვინნი პოგრებში“ 2015 წლის რთველის მიმდინარეობისას. ექსპერიმენტისას შერჩეულ ყურძნებს პქონდა ბოტრიტისის ნიშნები, თუმცა დაავადება ღრმად არ გახლდათ განვითარებული. დასახული მიზნის მისაღწევად საწარმოში მიღებული ყურძნები დაიყო 8 თანაბარ ნაწილად. გადამუშავებისას ყურძნებს გაეცალა კლერტი და კვლევისათვის გამოყენებული იქნა თვითნადენი და პრესის პირველი ფრაქცია. საკვლევი ნიმუშები ფერმენტირებული იქნა კულტურული საფუვრით - PREMIUM® BLANC 12 V - SACCHAROMYCES CEREVISIAE - Vason Group- 25 გ/ჰლ-ზე დოზით. ალკოჰოლურ დუღილამდე განხორციელდა ტემპერატურით, დაყოვნება 25 წუთი



ტემპილის დაწმენდა, დეკანტაცია



ტემპილის სულფიტაცია SO_2 50მგ/ლ-ზე



საფუვრის წმინდა კულტურის სსნარის შეტანა 25გ/ჰლ-ზე




სითხის დარევა




ტემპილის ფერმენტაცია


დიაგრამა 2. ნიმუში 3-ს მომზადების ტექნოლოგიური ოპერაციები




დიაგრამა 3. ნიმუში 4-ს მომზადების ტექნოლოგიური ოპერაციები



დიაგრამა 4. ნიმუში 5-ს მომზადების ტექნოლოგიური ოპერაციები
საფულერის წმინდა კულტურის რეპიდრატაცია, დაყოვნება 25 წელი



დიაგრამა 5. ნიმუში 6-ს მომზადების ტექნოლოგიური ოპერაციები
საფულერის წმინდა კულტურის რეპიდრატაცია, დაყოვნება 25 წელი



დიაგრამა 6. ნიმუში 7-ს მომზადების ტექნოლოგიური ოპერაციები
საფუვრის წმინდა კულტურის რეპიდრატაცია, დაყოვნება 25 წელი

↓
VPP-ს(პოლივინილპოლიპიროლიდონი - Divergan® F - BASF group) ხსნარის

↓
მომზადება და ტებილში შეტანა 20გ/ჰლ

↓
სითხის დარევა და დაყოვნება 12სთ

↓
ტებილის დაწმენდა, დეპანტაცია

↓
ტებილის სულფიტაცია SO_2 50გ/ჰლ-ზე

↓
საფუვრის წმინდა კულტურის ხსნარის შეტანა 25გ/ჰლ-ზე

↓
სითხის დარევა

↓
ტებილის ფერმენტაცია

↓
საფუვრის წმინდა კულტურის რეპიდრატაცია, დაყოვნება 25 წელი

დიაგრამა 7. ნიმუში 8-ს მომზადების ტექნოლოგიური ოპერაციები
საფუვრის წმინდა კულტურის რეპიდრატაცია, დაყოვნება 25 წელი

↓

ფურძნის ტანინი (Subliwhite – Martin Vialatte) ხსნარის მომზადება

↓
ტებილის დაწმენდა, დეპანტაცია

↓
ტებილის სულფიტაცია SO_2 50გ/ჰლ-ზე

↓
ფურძნის ტანინი (Subliwhite – Martin Vialatte) ხსნარის შეტანა 10გ/ჰლ-ზე

↓

საფუვრის წმინდა კულტურის ხსნარის შეტანა 25გ/ჰლ-ზე

↓

სითხის დარევა

↓

ტებილის ფერმენტაცია

ფერმენტაციის შემდგომ დგინომასალები მოისნა ლექიდან. გადაღება განხორცილდა სამჯერადად 3 კვირის, 6 კვირის და 3 თვის შემდეგ.

უკანასკნელ წლებში ენოლოგიურ პრაქტიკაში ფერის განმსაზღვრელი პარამეტრების კვლევა დირებული ანალიტიკური მეთოდია დგინის ტექნოლოგიური პროცესის მონიტორინგის პროცესში. დგინის ფერი პროდუქციის ხარისხის განმსაზღვრელი ერთ-

ერთი ძირითადი ატრიბუტია. ფერის პარამეტრების კალება ტექნოლოგიური პროცესის სხვადასხვა ეტაპზე საშუალებას იძლევა სწორედ დაიგვებოს და შეფასდეს ტექნოლოგიური პროცესის მართებულობა. ღვინის ფერის ანალიზის ტრადიციული განზომილებებია ფერის სიმკრივე, რომელსაც ზოგიერთ შემთხვევაში ფერის ინტენსივობას უწოდებენ და ფერის ტონების განსაზღვრა. ფერის ინტენსივობის მონაცემის განსაზღვრისას ღვინდება შეფერილობის განმსაზღვრელი ნაერთების საერთო შემცველობა. ფერის ინტენსივობის განსაზღვრა თეთრ ღვინოებში ხორციელდება 420 ნმ ტალღის სიგრძეზე, ხოლო წითლის 520, 610 და 420 ნმ ტალღის სიგრძეებზე (ცხრილი).

ფერის ინტენსივობის, ფერის ტონის და საერთო ფერილების შემცველობა ღვინომასალებში

	ნიმუში/გამოყენებული გასასახი	მარტინები	ფერის ინტენსივობა	ფერის ტონი	საერთო ფერილების შემცველობა გ/ლ-ზე
1	„ცოლიკოური“ საკონტროლო ნიმუში	შპს ტიფლისსკი ვინნი პოგრები	0,152	0,166	0,507
2	„ცოლიკოური“ ნიმუში II	შპს ტიფლისსკი ვინნი პოგრები	0,219	0,274	0,730
3	„ცოლიკოური“ ნიმუში III	შპს ტიფლისსკი ვინნი პოგრები	0,138	0,181	0,460
4	„ცოლიკოური“ ნიმუში IV	შპს ტიფლისსკი ვინნი პოგრები	0,203	0,261	0,677
5	„ცოლიკოური“ ნიმუში V	შპს ტიფლისსკი ვინნი პოგრები	0,319	0,367	1,064
6	„ცოლიკოური“ ნიმუში VI	შპს ტიფლისსკი ვინნი პოგრები	0,291	0,385	0,970
7	„ცოლიკოური“ ნიმუში VII	შპს ტიფლისსკი ვინნი პოგრები	0,186	0,264	0,620
8	„ცოლიკოური“ ნიმუში VIII	შპს ტიფლისსკი ვინნი პოგრები	0,216	0,272	0,720

ღვინის ფერის განმსაზღვრელი პარამეტრი - ფერის ტონი, გვიჩვენებს თანავარდობას ყვითელ და წითელ ფერს შორის, ყვითელი პიგმენტების წითელ პიგმენტებთან შეფარდებას. ღვინის ყვითელი ფერი განპირობებულია ღვინოში ტანინების შემცველობით (პროანტოციანიდინების ტიპის ფლავანოიდების პოლიმერებით და არაფლავანოიდური ფენოლებით) და ფოტომეტრის საშუალებით მისი განსაზღვრა შესაძლებელია ღვინის განზავების გარეშე [6].

ფერის ინტენსივობა, და საერთო ფერილები განისაზღვრა კოლორიმეტრული მეთოდით. გამოყენებული იქნა ავსტალიური წარმოების ფოტომეტრი HI 83742, სინათლის წყარო-ვოლფრამის ნათურა, საკვლევ და საკონტროლო ნიმუშებში მოცემული პარამეტრები განისაზღვრა ფოტომეტრის გამოყენების რეკომენდირებული მეთოდიკის შესაბამისად [7]. რეკომენდაციების ონახმად ღვინის ტემპერატურა შეადგენდა 25°C -ს.

ფერის ინტენსივობა წითელ საკვლევ და საანალიზო ღვინომასალებში განისაზღვრა აპარატის მწარმოებლის მიერ დადგენილი მეთოდიკით 420 ნმ, 520 ნმ და 610 ნმ ტალღის სიგრძეებზე. ენოლოგიურ პრაქტიკაში ვალიდირებული მეთოდები [6,7] გულისხმობს ფერის ინტენსივობის კალკულაციას შემდეგი სახით: ფერის ინტენსივობა = $E(420) + E(520) + E(610)$.

420 ნმ ტალღის სიგრძე არის ყვითელი-ნარინჯისფერი პიგმენტების იდენტიფიკაციისათვის. 520 ნმ - წითელი პიგმენტებისათვის ხოლო 610 ნმ მოლურჯო შეფერილობის პიგმენტებისათვის. ზემოთ ასახული ფორმულის გამოყენებით, შედეგების შეჯამებას, კალკულაციას გამოყენებული აპარატი ახორციელებს ავტომატურად, გაზომვის სიზუსტე 25°C -ზე: $\pm 0,03 \pm 4\%$.

მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად გაზომვამდე განხორციელდა ღვინის განზავება ასევე აპარატის მწარმოებლის მიერ შემოთავაზებული ხსნარებით, რომელიც შესყიდვისას თან ახლავს ფოტომეტრს: HI83742-0 Wine solvent-1 და HI83742-3 Wine solvent-3-ს. ფერის ტონის განსაზღვრისათვის ასევე გამოყენებული იქნა ფოტომეტრის თანდართულ ინსტრუქციაში მითითებული მეთოდიკა. მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად გაზომვამდე განხორციელდა ღვინის განზავება აპარატის მწარმოებლის მიერ შემოთავაზებული ხსნარით: HI83742-0 Wine solvent-1. გაზომვის

სიზუსტე 25°C -ზე: $\pm 0,01\pm 4\%$. ენოლოგიურ პრაქტიკაში ვალიდირებული მეთოდები [6,7] გულისხმობს ფერის ინტენსივობის კალკულაციას შემდეგი სახით: ფერის ონი=E(420):E(520).

ზემოთ ასახული ფორმულის გამოყენებით, შედეგების შეჯამებას, კალკულაციას გამოყენებული აპარატი ახორციელებს ავტომატურად.

საერთო ფენოლების განსაზღვრა (ფოლინ ჩოკალტეუს რეაქტივით) განხორციელდა ფოტომეტრის თანდართული მეთოდის შესაბამისად, 610 ნმ ტალღის სიგრძეზე. სიზუსტე 25°C -ზე: $\pm 0,10 \text{ g/l} \pm 5\%$. საერთო ფენოლები ისაზღვრება გალის მუავაზე გადანგარიშებით g/l -ზე.

დვინის განზავება განხორციელდა შემდეგი სსნარებით: HI83742-0 Acid reagent; HI 83742 B-0 Folin & chokalteus reagent; HI 83742C-0 Carbonate buffer.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1. ოქსიდაციის პრევენციის და დაფანგული დვინის ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ფერის ინტენსივობის მხრივ დვინის დამხმარე პრეპარატებით Qi-No[Ox] („ცოლიკოური“ ნიმუში III) და PVPP-თი („ცოლიკოური“ ნიმუში VII) დამუშავებული დვინომასასალები ყველაზე კარგად პასუხობენ კვლევის მიერ დასახულ მიზანს, რადგან დვინის ოქსიდაციისათვის დამახასიათებელი ფერის ინტენსივობა ამ ნიმუშებში საგრძნობლად მცირეა სხვა ნიმუშებთან მიმართებაში. 2. საკვლევ ნიმუშ 5-ში გამოყენებული დვინის დამხმარე მასალა ყურძნის ტანინი (VR Supra - Laffort)-ის გამოყენებამ აჩვენა, რომ საერთო ფენოლების შემცველობა სხვა ნიმუშებში გამოყენებულ ტანინებთან შედარებით 94 g/l -დან 344 g/l ერთეულამდე გაიზარდა, რაც ასევე აისახა ამ ნიმუშის ფერის ინტენსივობასა და ფერის ტონზე, გამომდინარე აქედან მისი გამოყენება პლასიკური თეთრი მშრალი დვინის დასამუშავებლად მიზანშეწონილი ვერ იქნება.

ლიტერატურა

- PA Kilmartin, H Zou, AL Waterhouse. A cyclic voltammetry method suitable for characterizing antioxidant properties of wine and wine phenolics. //Journal of Agricultural and Food Chemistry, 2001, 49 (4), pp.1957-1965.
- Sahar Razmkhab, Azahara Lopez-Toledano, José M. Ortega , Manuel Mayen , Julieta Merida , and Manuel Medina. Adsorption of Phenolic Compounds and Browning Products in White Wines by Yeasts and their Cell Walls. //J. Agric. Food Chem., 2002, 50 (25), pp. 7432–7437.
- Maggia, M., Winz, R., Kilmartin, P. A., Trought, M. C. T., Nicolau, L. Quantitative Survey of 3-alkyl-2-methoxypyrazines and first confirmation of 3-ethyl-2-methoxypyrazine in South African Sauvignon blanc wines. //J. Agric. Food Chem., 2007, 55, pp. 10281-10288.
- María Jesús Cejudo-Bastante†, María Soledad Pérez-Coello†, and Isidro Hermosín-Gutiérrez. Identification of New Derivatives of 2-S-Glutathionylcaftaric Acid in Aged White Wines by HPLC-DAD-ESI-MS. //J. Agric. Food Chem., 2010, 58 (21), pp.11483–11492.
- John Hudelson Wine Faults: Causes, Effects, Cures. Wine application Guild. San Francisco, 2011, 79 p.
- Pérez-Caballero, V., F. Ayala, J.R. Echávarri, and A.I. Negueruela. Proposal for a new standard OIV method for determination of chromatic characteristics of wine. //Am. J. Enol. Vitic., 2003.54:59-62.
- Instruction Manual HI 83742 COLOR & PHENOLS ISM for wine analysis. Australia, pp. 14. http://www.hannainst.com.au/learn_more/c:HI+83742

SUMMARY

PREVENTION OF OXIDATION DURING PRODUCTION OF WINE MATERIALS FROM TSOLIKAURI GRAPE CULTIVAR

Chkuaseli L.M., Geliashvili Z.E., Khomasuridze M.B. and Meskhidze M.Z.

Georgian Technical University

Oxidation causes various flaws and faults in wine. Moderate amounts of oxygen have a beneficial effect on wine, gives it complexity, whereas the excess of oxygen eventually deteriorates the quality of wine. White wine contains less amounts of phenolic compounds than red one, but the oxidation of phenolic acids, especially of hydroxycinnamic acid, catechols and quercetin, changes the color of wine into brown. For preventing the oxidation of wine, they must continuously control the content of oxygen in wine and use antioxidants allowed in oenology (ascorbic acid, sulfur dioxide, etc.). In the result of experimental investigation, the advantages of treatment of white wine with auxiliary materials Qi-No[Ox] and PVPP for prevention of oxidation were revealed. Application of antioxidant tannin preparation (VR Supra-Laffort) had an adverse impact on the wine color intensity and tone, the content of total phenols considerably increased as well.

Keywords: wine, oxidation, prevention, phenolic compounds, antioxidant.

ქართული გურმნის შემთხვევაში ნამდვილი მარტივი სამსახურის მისამინური მარტივი სამსახურის დამუშავება სამკურნალო-პროცესის დანიშნულების პროდუქციის საჭარმოებლად

ლობუანიძე გ.ა., ნამჩევაძე ც.გ.

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის ვიტამინური და სხვა მცენარეული პრეპარატების მწვავე დეფიციტის გამო გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს განვითარდეს ნედლეულის ბაზა რესპუბლიკის ფარმაცევტულ მრეწველობისათვის, აგრეთვე დამუშავდეს ნედლეულის კომპლექსური გადამუშავების რაციონალური ტექნოლოგიები შესატყვის ფარმაკოპოდუქციის წარმოპოვებისათვის.

დადასტურებულია, რომ მრავალი დაავადების წარმოშობის ერთ-ერთი ძირი-თაღი ფაქტორი ორგანიზმის ანტიოქსიდანტური ბალანსის დარღვევაა, რასაც მივყავართ ანტიოქსიდანტების გამოყენების აუცილებლობამდე. ამ მხრივ უპირატესობა ენიჭებათ ნატურალურ ანტიოქსიდანტებს. ცნობილია ასევე უურმნის პოლიფენოლების მაღალი ანტიოქსიდანტური აქტიურობა. უურმნები ფენოლური ნაერთები თავიანთი მნიშვნელობით, ნახშირწყლებისა და ორგანული მჟავების შემდეგ, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნივთიერებებს. უურმნის მარცვალში აღნიშნული ნაერთები ნაწილდება შემდეგი თანაფარდობით: რბილობში - 10 %; წიაღაში - 60-70 %; უურმნის კანში - 28-35 %. უურმნის ფენოლური ნაერთებიდან ყველაზე გავრცელებულია კატექინები (კატექინი, ეპიკატექინი) და პროციანინები. სხვადასხვა ჯიშის უურმნის წიაღაში ფენოლური ნაერთების შემცველობა სხვადასხვაა და მათი მნიშვნელობა იცვლება ფართო დიაპაზონში: მონომერები - 0,5 - 4,5 მგ/გ; ლიმერები - 0,2 - 2,4 მგ/გ; გალატების დიმერები - 0,05 - 1,1 მგ/გ; ტრიმერები - 0,05 - 0,7 მგ/გ.

უურმნის ფენოლური ნაერთები შთანთქავენ თავისუფალ რადიკალებს და თავიდან აცილებენ ჯაჭვური რეაქციის წარმოქმნას. პოლიფენოლების მნიშვნელოვანი თავისებურებაა ასევე მათი სხნადობა წყალში და ცხიმებში. ცნობილია, რომ უურმნის წიაღიდან მიღებული ეპიკატექინგალატი და სხვადასხვა პროციანინები წარმოადგენს სუპეროქსიდური რადიკალებისა და ჰიდროქსილური რადიკალების სორბენტებს წყალსხნარებში.

კარდიოლოგიური დაავადებები დაკავშირებულია ცხიმების მეტაბოლიზმზე დაბალი სიმკრივის ლიპოპროტეინების დაუანგვის გამო. უურმნის წიაღის ჰილი-ფენოლები ამცირებენ გულსისხლძარღვათ დაავადებების რისკს, ვინაიდან ინგიბირებენ ლიპოპროტეინების დაუანგვის პროცესს.

აღსანიშნავია პროციანინების ჭრილობის შემახორცებელი თვისებები.

დადასტურებულია, რომ უურმნის წიაღის ანტიციანინები ხელს უშლიან კიბოს უჯრედების ზრდას. უურმნის წიაღიდან მიღებული ნატურალური ნივთიერების - რეზერვატორლის შესწავლამ აჩვენა, რომ ის ხელს უშლის ახლადწარმონაქმნების განვითარებას, კიბოს უჯრედების პროგრესირებას.

უურმნის წიაღიდან ბიოლოგიურად აქტიური პროდუქტების წარმოებისას მიზანშეწონილია თხევად ფაზაში სხნადი ჯამური პოლიფენოლების ექსტრაქცია. ერთი და იგივე მცენარეული ნედლეულის ანტიოქსიდანტური აქტიურობა შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს გაოგრაფიული პირობებისა და ექსტრაქტების დამზადების ტექნოლოგიური მიღებობის მიხედვით.

მცენარეული ნედლეულის ექსტრაქციის ჩვეულებრივი მეთოდები სისტემაში „მყარი სხეული-სითხე“ ითვალისწინებს 2-ფაზა სისტემას: „ნედლეული - ექსტრაგენტი“. ამასთან, მცენარეული ნედლეულიდან ანტიციანების ექსტრაპირებისათვის იყენებენ, როგორც წესი, 40 %-იან ეთანოლს, შემუშავებულს 1-2 %-იანი მარილმჟავით ან ლიმონმჟავით. ჩვენს მიერ ექსტრაქცია ჩატარდა სამფაზა სისტემაში: „ნედლეული-ჰიდროფილური ექსტრაგენტი - ჰიდროფობური ექსტრაგენტი“. ჰიდროფობური ექსტრაგენტის დამატება ერთის მხრივ ხელს უწყობს წყალში უსხნადი ფენოლური ნაერთების გამოყოფას, ხოლო მეორეს მხრივ, ინტენსიური მექანიკური აქტივაციის პირობებში მნიშვნელოვნად დააჩქარებს ექსტრაქციის პროცესს. საქართველო

მდიდარია მინერალური სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების წყლებით. მათ შორის, სხვადასხვა მინერალიზაციის ჰიდროკარბონატული (HCO_3^-) ნატრიუმიანი (Na), საშუალო მინერალიზაციის (5-15 გ/ლ) ბორმჟავიანი მინერალური წყლებით (ბორჯომი-უწერის ტიპის წყლები), რომელთა $\text{pH} = 3,5-6,5$. სწორედ მათი საშუალებით ვდებულობდით სხვადასხვა კონცენტრაციის ეთანოლს, რაც გამორიცხავს ექსტრა-გენტის მარილმჟავათი ან ლიმონმჟავათი შემჟავების აუცილებლობას [1-3].

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები უმეტესწილად იმყოფება გარსში ბიოპოლიმერული კომპლექსების სახით, რომლებიც ექსტრაქციის არსებული ტექნოლოგიებით ნაკლებად გადადიან ბიოლოგიურად მისაწვდომ ფორმებში. მცენარეული ნედლეულიდან ექსტრაქტორების გზით ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაქსიმალურად გამოწვლილვის მიზნით აუცილებელია არა მარტო უჯრედის გარსის დარღვევა, არამედ მისი მნიშვნელოვანი ნაწილის განთავისუფლება უჯრედშიგა ბიოპოლიმერული სტრუქტურისაგან. ჩვენს მიერ ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ მცენარეული ნედლეულის დაქუცმაცება მიკრონულ ზომებამდე იძლევა ექსტრაქციის პროცესის მნიშვნელოვანი ინტენსიფიკაციის შესაძლებლობას ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოსავლიანობის მიმავროული საგრძნობი გაზრდით.

მცენარეული ნედლეულის ულტრა და ნანოდისპერგირება მიმდინარეობს სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენებით – მაღალსიჩქარიანი გრიგალისებური დაქუცმაცებით ვიბროცენტრიდანული და პლანეტარული წისქვილებით. ექსპერიმენტების შედეგები მოწმობენ, რომ ამ სახით დაქუცმაცებული ნედლეულიდან რამდენჯერმე იზრდება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოსავლიანობა და ექსტრაქციის ინტენსიურობა .

ამრიგად, ექსტრაქციას ექვემდებარება წინასწარ ნანოდისპერგირებული ქართული ოქთორი და წითელი ჯიშის ყურძნის წიპრა. ექსტრაქციისათვის გამოვიყენეთ ჰიდროფილური გამსხვევლი (სხვადასხვა კონცენტრაციის ეთანოლი მჟავე სასმელ მინერალურ წყალში) და ჰიდროფობური გამსხვევლი (მაგალითად, აცეტონი). ეთანოლის ოპტიმალური კონცენტრაცია, მინერალური წყლის ოპტიმალური pH და გამსხვევების ონაფარდობა დადგინდება ექსპერიმენტულად. საქართველოში ვიგამინების მრეწველობისათვის არსებობს ნედლეული ყურძნის წიპრის სახით, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს ანტიოქსიდანტური, ანტირადიანტული აქტიურობის პრეპარატების წარმოებისათვის.

ლიტერატურა

1. გ. ლობეგანიძე, ვ. ხვედელიძე. ყურძნის კანის ჰიდროთერმული დამუშავების მართვა. ქუთაისის 6. მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომები N1(17), ქუთაისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2006, გვ. 93-94.
2. გ. ლობეგანიძე, ვ. ხვედელიძე. მ. ბუჩიხიშვილი. ყურძნის კანის თბოფიზიკური მახასიათებლები. //Georgian Engineering News, 2006, N1, გვ. 287-288.
3. ვ. ხვედელიძე. კომპიუტერის მხედველობითი სინდრომი: ახალი სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატის შემუშავება. //ნოვაცია, 2009, N5, გვ. 74-81.

SUMMARY

DEVELOPMENT OF THE METHODS OF EXTRACTION OF PHENOLIC COMPOUNDS FROM THE SEEDS OF GEORGIAN GRAPES FOR THE PRODUCTS FOR THERAPEUTIC AND PROPHYLACTIC PURPOSES

Lobzhanidze G.A. and Namchevadze T.V.

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

It is well known that one of the basic factors causing many diseases is the imbalance between oxidants and antioxidants in the organism. Hence it is essential to use antioxidants, natural antioxidants being preferable without doubt. The high antioxidant activity of grape polyphenols is well known. The outcomes of our investigation allow producing the nonalcoholic concentrates with grape polyphenols of nutritive-prophylactic purpose, which will contain no less than 200 mg/ml of the active substance in the diluted, bioavailable state. For comparison, it should be noted that the concentration of polyphenols in red wines is no more than 20 mg/ml.

Keywords: grape seeds, antioxidants, phenolic compounds, nanodispersion, extraction.

სტატი ბაზიზის ზეგავლენა პრეცენტაციი ხილის მიკროფლორაზე

გურიელიძე მ.ა., ქლენტი მ.ს., გულუა ლ.კ., თურმანიძე თ.გ.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

გაყინული კენკრის მიკროფლორა დამოკიდებულია მათ ქიმიურ შედგენილობაზე, დამუშავების მეთოდებზე, გაყინვის და შენახვის ტემპერატურაზე. რამდენადაც ხილი მდიდარია ნახშირწყლებით და მჟავებით, მათზე ძირითადად ვითარდება საფუვრები და ობის სოკოები. ზოგიერთი სოკო ნაყოფებზე ვითარდება ბუნებრივ პირობებში, როგორც სხვადასხვა დაავადების გამომწვევები. მრავალი სოკო ნაყოფებს აზიანებს მხოლოდ შენახვის პირობებში. გადამწიფებული და მექანიკურად დაზიანებული ნაყოფები შეიცავენ დიდი რაოდენობით საფუვრებს და ობის სოკოებს. ხილის მიკროფლორა მხოლოდ ამ ჯგუფის მიკროორგანიზმებით არ შემოიფარგლება. ხილს, განსაკუთრებით კენკროვანს, კონტაქტი აქვს ნიადაგთან, რომელიც უხვად არის დასახლებული ბაქტერიებით, ხილზე იღებება პაერიდან მტვერი. ამიტომ მაღალხარისხიანი ნაყოფებიც კი, რომელთაც მექანიკური დაზიანება არ გააჩნიათ, გარდა საფუვრებისა და ობის სოკოებისა, შეიცავენ დიდი რაოდენობით სხვადასხვა არასპოროვან, აერობულ და ანაერობულ სპორტარმომებნებს [1,2].

ხილის სწრაფი გაყინვის დროს მიკროორგანიზმების რაოდენობა მცირდება, თუმცა დადგენილია, რომ ზოგიერთი ბაქტერია სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს -20°C -დან -45°C -მდე ტემპერატურის დროს. ამასთან, გაყინულ პროდუქტზე თითქმის არასდროს არ აღინიშნება პათოგენური მიკროორგანიზმების განვითარება. გაყინვა სხვადასხვა სახის მიკროორგანიზმებზე სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს. დაბალი ტემპერატურისადმი უფრო მეტად მდგრადები ობის სოკოები და საფუვრებია, ხოლო მგრძნობიარენი-არასპოროვანი ბაქტერიები, მაგრამ ყველა მიკროორგანიზმის სრული განადგურება ნაყოფების გაყინვისას პრაქტიკულად არ ხდება. მიკროორგანიზმების განადგურებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ გაყინვის ტემპერატურა, არამედ გაყინვის დრო და არის მჟავიანობა. ყველაზე უკეთ მიკროორგანიზმები გადარჩებიან სუსტ ტუტე ან ნეიტრალურ არეში. ნელი გაყინვა იწვევს მიკროორგანიზმების აქტიურ დაღუპვას, ვიდრე სწრაფი. რამდენადაც ამ დროს ნაყოფებში წარმოიქმნებიან ყინულის მსხვილი კრისტალები, რომლებიც აზიანებენ მიკროორგანიზმების პროცესების და უჯრედის გარსს.

კვლევების შედეგად მეცნიერები მივიღნენ დასკვნამდე, რომ ხილის შენახვისას ეპიფიტური მიკროფლორის განვითარების დათრგუნვისათვის გაყინვის ტემპერატურა უნდა იყოს არა ნაკლებ -18°C -სა [3].

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ზოგიერთი კენკროვანი კულტურის: მარწყვის, ქოლოსა და მაყვლის პერსპექტიული ჯიშების მიკროფლორა როგორც საწყის, ისე გაყინულ ნიმუშებში. სწრაფი გაყინვის მეთოდის გავლენა არაპათოგენურ და პათოგენურ მიკროფლორაზე.

გამოკვლეულია მარწყვის ოთხი ჯიში: წითელი ოცნება, კამაროსა, ვიქტორია, კასანდრა, ქოლოს სამი ჯიში: ნოვა, კილარნეი და ტულეიმანი, ასევე მაყვლის ველური და კულტურული ფორმა. გაყინვა წარმოებდა -40°C -ზე, ხოლო შენახვა -20°C -ზე.

კენკროვანი ხილიდან მიკროორგანიზმების გამოსაყოფად გამოყენებულ იქნა თანმიმდევრული განზავების მეთოდი. გამოსაკვლევი მასალის 10 გრ შეტანილ იქნა 90 მლ სტერილურ წყალში. მომზადებულ იქნა განზავებები 1:10, 1:10², 1:10³, 1:10⁴. თითოეული განზავებიდან თითო წვეთი გადატანილ იქნა პეტრის ჯამებზე [4].

მეზოფილურ აერობული და ფაკულტატურ ანაერობული ბაქტერიების (მაფანმრ) გამოსაყოფად გამოყენებული იქნა ხორც-პეპტონიანი აგარი და TSA-აგარი, საფუვრებისა და ობის სოკოებისათვის - საბუროს აგარი, სტაფილოკოკებისათვის - მანიტ-მარილის აგარი. ენტერიბაქტერიების გამოსავლენად სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებული იქნა დამაგროვებელი არები: ნაწლავის ჩხირისათვის დაქტოზიანი ბულიონი, სალმონელებისათვის - პეპტონის წყალი; საიდენტიფიკაციო არები:

სალმონელა-შიგელას აგარი (SS-აგარი), ენდო აგარი, კლიგლერის აგარი, სამშაქრიანი აგარი.

კვლევის შედეგად შესწავლილ იქნა სამივე კულტურის (მარწყვი, ჟოლო, მაყვალი) ახლადმოკრეფილი ნაყოფების მიკროფლორა, რომლის შედეგები წარმოდგენილია ცხრ.1-ში.

ცხრილი 1. მარწყვის საწყის ნიმუშებში მაფანმრ ბაქტერიების, საფუვრების, ობის სოკოების და სტაფილოკოკის რაოდენობა

№	ნიმუშები	მიკროორგანიზმების რაოდენობა, კშ/გრ				
		მაფანმრ	საფუვრები	ობის სოკოები	<i>Staphilococcus aureus</i>	<i>Staphilococcus epidermidis</i>
1	წითელი ოცნება	76×10^4	58×10^4	0	2×10^3	4×10^3
2	კამაროსა	48×10^4	62×10^4	0	2×10^3	4×10^2
3	ვიქტორია	14×10^5	15×10^5	0	6×10^4	0
4	კასანდრა	12×10^5	88×10^4	0	2×10^3	0

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მაფანმრ და საფუვრები გამოვლინდა მარწყვის ჯიშში ვიქტორია (ნახ.1 და 2). ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიებიდან მარწყვის ოთხივე ნიმუშში გამოვლინდა: *E.coli*, ჯიშში წითელი ოცნება გამოვლინდა *Shigella flexneri*, ხოლო ჯიშში ვიქტორია - *Salmonella*, ჯიშში კასანდრა კი - *Enterobacter aerogenes*.



ნახ.1. მარწყვის ჯიში ვიქტორია, მაფანმრ




ნახ.2. მარწყვის ჯიში ვიქტორია, საფუვრები

ასევე შესწავლილ იქნა ჟოლოს ჯიშების საწყის ნიმუშების მიკროფლორა. ანალოგიური სახის გამოკვლევები ჩატარდა მაყვლის როგორც კულტურულ, ისე ველურ ფორმებში. როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, მაყვლის კულტურულ ფორმაში გამოვლინდა უნტერობაქტერიები და საფუვრების შედარებით მცირე რაოდენობა (ცხრ. 2).

ცხრილი 2. ჟოლოს და მაყვლის საწყის ნიმუშებში მაფანმრ ბაქტერიების, საფუვრების, ობის სოკოების რაოდენობა

№	ნიმუშები	მიკროორგანიზმების რაოდენობა, კწგ/გრ		
		მაფანმრ	საფუვრები	ობის სოკოები
1	ქოლო ნოვა	4×10^4	0	12×10^2
2	ქოლო კილარნები	34×10^3	0	18×10^2
3	ქოლო ტულეიმანი	11×10^3	0	14×10^2
4	მაყვლის კულტურული ფორმა	26×10^3	35	4×10^2
5	მაყვლის კელური ფორმა	30×10^3	40	7×10^3

ქოლოს ახლადმოკრევილ ნიმუშებში გამოვლინდა ნაცრისფერი სიდამპლის გამომწვევი ფიტოპათოგენური სოკო *Botritis cinerea* (ნახ.3).



ნახ.3. *Botritis cinerea*

შესწავლილ იქნა გაყინული კენკროვანი კულტურების მიკროფლორა სწრაფი გაყინვის შემდეგროგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, სწრაფი გაყინვის შემდეგ მნიშვნელოვნად მცირდება მიკროორგანიზმების რაოდენობა (ცხრ. 3).

ცხრილი 3. მიკროორგანიზმების რაოდენობა გაყინულ კენკროვან კულტურებში

№	ნიმუშები	მიკროორგანიზმების რაოდენობა, კწგ/გრ		
		მაფანმრ	საფუვრები	ობის სოკოები
1	წითელი ოცნება	8×10^2	0	0
4	კამაროსა	48×10^2	8×10^2	0
7	კასანდრა	6×10^2	2×10^2	0
8	ვიქტორია	71×10^3	0	0
9	ნოვა	40	0	40
10	კილარნები	$1,1 \times 10^2$	0	50
	ტულეიმანი	3×10^2	0	30
11	მაყვალი კულტურული	5×10^2	15	20
12	მაყვალი კელური	3×10^3	5	8

გაყინული ნიმუშებიდან *E.coli* გამოვლინდა მხოლოდ მარწყვის ერთ ჯიშითოველი ოცნება. ხოლო ჯიშში კამაროსა გამოვლინდა *Staphylococcus epidermidis* (2×10^2 კწგ/გრ). ენტერობაქტერიები გაყინული მაყვლის ფორმებში არ გამოვლინდა.

შესწავლილ იქნა მარწყვის ჯიშების მიკროფლორა (ბაქტერიები, საფუვრები, ობის სოკოები) გაყინული სახით შენახვიდან 2 თვის შემდეგ.

მარწყვის საწყის ნიმუშებთან შედარებით, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული გაყინვის შემთხვევაში მიკროორგანიზმების რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება (ცხრ. 3). გაყინვიდან 2 თვის შენახვის შემდეგ ნიმუშებში საფუვრების, ობის სოკოების და სტაფილოკოკების არსებობა აღარ ფიქსირდება (ცხრ. 4).

ცხრილი 4. მარწყვის ჯიშების მიკროფლორა გაყინვიდან 2 თვის შემდეგ

	ნიმუშები	მიკროორგანიზმების რაოდენობა, კწ/გრ			
		მაფანმრ	საფუვრები	ობის სოკოები	<i>Staphilococcus aureus</i>
1	წითელი ოცნება	$7,1 \times 10^2$	0	0	0
2	კამაროსა	$2,3 \times 10^2$	0	0	0
3	კასანდრა	3×10^2	0	0	0
	ვიქტორია	5×10^2	0	0	0

ამრიგად, ნიმუშების სწრაფი გაყინვით და შემდგომ შენახვით, -18°C ტემპერატურაზე, ნაყოფებში ითრგუნება როგორც საფუვრების, ობის სოკოების და პათოგენური ბაქტერიების (ენტერობაქტერიები, სტაფილოკოკები), ასევე ფიტოპათოგენური სოკოებისგანვითარება.

ლიტერატურა

1. Kikoku Y, Tagashira N, Nakano H. Heat resistance of fungi isolated from frozen blueberries. *J Food Prot.* 2008, 71(10):2030-5.<http://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/18939748>
2. Margaret Barth, Thomas R. Hankinson, Hong Zhuang, and Frederick Breidt, Microbiological Spoilage of Fruits and Vegetables, *Food Microbiology and Food Safety*, Springer Science+Business Media, LLC 2009, pp.135-183.
3. Microorganisms in Foods 6: Microbial Ecology of Food Commodities, Kluwar Academic/Plenum Publishers, 2005, pp. 326-345.
4. Практикум по микробиологии. Под педакцией А.И. Нетрусова, -Москва, 2005, сс.93-107.

SUMMARY

THE IMPACT OF QUICK FREEZING ON THE MICLOFLORA OF BERRIES

Gurielidze M.A., Zhgenti M.S., Gulua L.K. and Turmanidze T.V.

Agricultural University of Georgia

The results of microbiological investigation of promising berry crops such as strawberries, raspberries and blackberries are discussed. Fresh berries, the berries after quick freezing and frozen berries after 2-month storage were studied. In the berries stored at -18°C , just as the growth of yeasts, molds and pathogenic bacteria (enterobacteria, staphilococci etc.), so phytopathogenic fungi is inhibited, while the number of mesophilic, aerobic and facultative bacteria is reduced considerably.

Keywords: berries, quick freezing, microflora.

ზოგიერთი პურპრგანი პულტურის ნაყოფების სუნიშვის ინცენსივება შენახვის პროცესში

ქადენტი მ.ს., გულუა ლ.კ., თურმანიძე თ.ჭ.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

ატამი, ქლიავი და ნექტარინი განეკუთვნება კლიმატერიქსულ ნაყოფებს. მათ ახასიათებთ სუნიშვის ინტენსივობის მომატება. პიკის მიღწევის შემდეგ დგება სამომხმარებლო სიმწიფის ფაზა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შემდეგ კი იწყება ნაყოფის დამწიფების პროცესი. შენახვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია სუნიშვის მაქსიმუმის მიღწევის პერიოდზე. შენახვისუნარიანობა დაკავშირებულია შენახვის დროს ნაყოფების მიერ ე.წ. გამოყოფილი CO_2 -ის რაოდენობაზე. შენახვისუნარიანი ჯიშებისათვის სახეობის მიხედვით ეს მაჩვენებელი დაბალია.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა კულტურების ატმის, ქლიავის და ნექტარინის სხვადასხვა ჯიშების სუნიშვის ინტენსივობა ვარიანტების მიხედვით შენახვის დროს. დაგევადგინა ცალკეული ჯიშის დანაკარგები შენახვის პროცესში.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ატმის ჯიშები: ხიდისთაური ყვითელი საგვიანო, ფაიმტამი და წევდისური. ქლიავის: სტენლი, იტალიური უნგრულა და აუნის უნგრულა და ნექტარინის: მორსიანი-60, მაქსი-7 და კალდეზი-2000. კვლევის პროცესში ცალკეული კულტურის ჯიშებზე დაკვირვება წარმოებდა ნაყოფებზე, რომელიც ინახებოდა $0,5^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის პირობებში. ფარდობითი ტენიანობა 85-90%. დაკვირვება წარმოებდა ყოველი 5 დღის ინტერვალით.

სუნიშვის ინტენსივობის დინამიკის შესწავლისას გამოვლინდა, რომ ჯიშები განსხვავდებიან როგორც სუნიშვის ინტენსივობით, ისე კლიმატერიქსის პიკის დადგომის თვალსაზრისითაც [1-3].

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ ატმის ჯიშებიდან შენახვის წინ სუნიშვის ინტენსივობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება ჯიში ხიდისთაური ყვითელი საგვიანო $5,3 \text{ CO}_2$ მლ/კგსთ, შემდეგ მოდის ფაიმტამი $6,4 \text{ CO}_2$ მლ/კგსთ და ბოლო წევდისური $7,8 \text{ CO}_2$ მლ/კგსთ.


კლიმატერიქსის პიკი ხიდისთაური ყვითელი საგვიანოს შემთხვევაში დგება 25 დღის შემდეგ, ჯიში ფაიმტამის შემთხვევაში სუნიშვის ინტენსივობის მაქსიმუმი ფიქსირდება 20 დღის ხოლო წევდისურის შემთხვევაში 15 დღის შემდეგ. (ცხრ. 1).

ცხრილი 1. ატმის ჯიშებში სუნიშვის ინტენსივობის ცვლილება შენახვის პროცესში (CO_2 მლ/კგსთ)

დღეები ჯიშები	5	10	15	20	25	30	35	40	45
ხიდის თაური ყვითელი საგვიანო	5,3	8,3	9,5	11,4	13,6	10,3	6,7	4,6	4,0
ფაიმტამი	6,4	8,6	11,8	14,7	13,1	12,4	8,6	5,8	4,7
წევდისური	7,8	11,5	16,3	15,3	14,7	12,5	10,6	7,2	6,5

ჯიშების ურთიერთშედარებამ დაგვანახა (ცხრ. 1), რომ ატმის ჯიში ხიდისთაური ყვითელი საგვიანოს ნაყოფები სხვა ჯიშებთან შედარებით ხასიათდებიან სუნიშვის უფრო დაბალი ინტენსივობით და მაქსიმუმი განისაზღვრა $13,6 \text{ CO}_2$ მლ/კგსთ.

დანარჩენი ჯიშებისთვის ეს მაჩვენებელია – ფაიმტაიმი $14,7 \text{ CO}_2 \text{ მლ/კგსთ}$ და წედისური $15,3 \text{ CO}_2 \text{ მლ/კგსთ}$.



ნახ.1. ატმის ჯიშებში სუნთქვის ინტენსივობის დინამიკა შენახვის პროცესში ($\text{CO}_2 \text{ მლ/კგსთ}$)


ჩატარებული ქიმიური გამოკვლევებით და ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემებით ნათლად ჩანს, რომ შედარებით კარგი შენახვისუნარიანობით გამოირჩევა ატმის ჯიში ხიდისთაური ყვითელი საგვიანო. შემდეგ მოდის ფეიმტაიმი და ბოლოს ჯიში წედისური.

ანალოგიურად შესწავლილია ქლიავის ჯიშები. ყველაზე დაბალი სუნთქვის ინტენსივობით ხასიათდება ჯიში სტენლი, ყველაზე უფრო მაღალი ინტენსივობით აქანის უნგრულა, ხოლო ჯიშ იტალიურ უნგრულას შუალედური ადგილი უკავია. (ცხრ. 2).

ცხრილი 2. ქლიავის ჯიშებში სუნთქვის ინტენსივობის ცვლილება შენახვის პროცესში ($\text{CO}_2 \text{ მლ/კგსთ}$)

დღეები ჯიშები	5	10	15	20	25	30	35
სტენლი	9,2	11,4	14,3	17,1	15,4	11,2	7,4
იტალიურ უნგრულა	10,8	13,8	16,5	17,8	15,8	12,1	0
აქანის უნგრულა	12,3	14,3	18,8	16,5	13,4	10,4	0

როგორც მიღებული შედეგებიდან ირკვევა ქლიავის ჯიშებიდან ყველაზე დაბალი სუნთქვის ინტენსივობით ხასიათდება ჯიში სტენლი, რომლის კლიმაქტერიქსის პიკი დგება შენახვიდან 20 დღის შემდეგ, როცა გამოყოფილი CO_2 -ის რაოდენობა 17,1 მლ/კგსთ-ის ტოლია. აქანის უნგრულას შემთხვევაში კლიმაქტერიქსის პიკი განისაზღვრა 15 დღით, როცა გამოყოფილმა CO_2 -მა შეადგინა 18,8 მლ/კგსთ. შესაბამისად უფრო შენახვისუნარიანი ჯიშები - სტენლი და იტალიური უნგრულა, ვიდრე აქანის უნგრულა.



ნახ.2. ქლიავის ჯიშების სუნთქვის ინტენსივობის დინამიკა შენახვის პროცესში ($\text{CO}_2\text{მლ}/\text{კგსთ}$)


ქიმიური კვლევების საფუძველზე გამოვლენილია ასევე ნექტარინის შენახვის-უნარიანი ჯიშები.

ნექტარინის ჯიშებში ყველაზე დაბალი სუნთქვის ინტენსივობით ხასიათდება ჯიში მაქსი-7, შემდეგ მოდის მორსიანი-60, ხოლო ყველაზე დაბალი სუნთქვის ინტენსივობა ახასიათებს ჯიშ კალდეზი-2000-ს.

ცხრილი 3. ნექტარინის ჯიშებში სუნთქვის ინტენსივობის ცვლილება შენახვის პროცესში ($\text{CO}_2\text{მლ}/\text{კგსთ}$)

დღეები ჯიშები	5	10	15	20	25	30	35	40
მორსიანი-60	7,2	9,5	12,3	16,3	14,2	12,3	9,2	5,8
მაქსი-7	5,9	8,3	9,4	12,3	15,1	13,1	8,2	4,5
კალდეზი-2000	8,3	11,3	15,3	17,5	16,2	13,7	10,2	6,3

როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, ნექტარინის შესწავლილი ჯიშებიდან კლიმატურიული პიკის მაქსიმუმი სხვა ჯიშებთან შედარებით უფრო გვიან დგება. ჯიში მაქსი-7-ის შემთხვევაში 25 დღის შემდეგ, ხოლო დანარჩენ ჯიშებში სუნთქვის ინტენსივობის მაქსიმუმი დაფიქსირდა 20 დღის შემდეგ. (ნახ.3.)



ნახ. 3. ნექტარინის ჯიშების სუნთქვის ინტენსივობის დინამიკა შენახვის პროცესში ($\text{CO}_2\text{მლ}/\text{კგსთ}$)

შესწავლილია შენახვის დროს ცალკეული სახეობის ჯიშების მასაში ბუნებრივი კლება და ფიტოპათოლოგიური სახის დაზარგება. (ცხრ. 4.)

**ცხრილი 4. საერთო დანაკარგები ატმის, ქლიავის და ნექტარინის ჯიშების შენახვის ბოლოს
დაუმუშავებელ ნიმუშებში (ტემპერატურა 0,5°C, ფარდობითი ტენიანობა 85-90%)**

კულტურა	ჯიში	მასაში კლება%	ფიტოპათოლოგიური დანაკარგი%	სულ დანაკარგი %	შენახვა (დღეები)
ატმი	ხიდისთაური. ყვ-საგვიანო	2,9	3,5	6,4	45
	ფაიმტაიმი	3,8	5,3	9,1	
	წელისური	4,3	7,2	11,5	
ქლიავი	სტენლი	4,7	5,0	9,7	45
	იტალიური უნგრულა	5,2	6,0	11,2	
	აჟანის უნგრულა	6,0	6,8	12,8	
ნექტარინი	მორსიანი-60	4,3	7,0	11,3	45
	მაქსი-7	3,0	4,3	7,3	
	კალდეზი-2000	5,6	7,8	13,4	

ჩატარებული გამოკვლევებით გამოვლენილია შენახვისუნარიანი ჯიშები. ატმის ჯიშებიდან საერთო დანაკარგების დაბალი მაჩვენებელი ახასიათებს ჯიშ ხიდისთაური ყვითელი საგვიანოს 6,4%, მაშინ როცა წელისურის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 11,5%-ის ტოლია.

ქლიავის ჯიშების შედარებამ ამ თვალსაზრისით დაგვანახა, რომ კარგი შენახვისუნარიანობით ხასიათდება ჯიში სტენლი, საერთო დანაკარგი 9,7%, შემდეგ მოდის იტალიური უნგრულა 11,2%. ყველაზე დაბალი შენახვისუნარიანობით ხასიათდება ჯიში აჟანის უნგრულა.

შენახვის დროს ყველაზე ნაკლები დანაკარგები აქვს ნექტარინის ჯიშ მაქსი-7-ს 7,3%, ყველაზე მაღალი კალდეზი 2000-ს 13,4% შენახვიდან 45 დღის შემდეგ.

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კარგი შენახვისუნარიანობით გამოირჩევა და დაბალი სუნთქვის ინტენსივობა ახასიათებს ატმის ჯიშ ხიდისთაურ ყვითელ საგვიანოს, შემდეგ მოდის ჯიში ფაიმტაიმი. ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ამ თვალსაზრისით ხასიათდება ჯიში წელისური.

გამოვლენილია ქლიავის შენახვისუნარიანი ჯიში სტენლი, რომელსაც შენახვიდან 45 დღის შემდეგ კარგად აქვს შენარჩუნებული ხარისხობრივი მაჩვენებლები და მინიმალური დანაკარგები შენახვის პროცესში.

ასევე ჩატარებულმა დაკვირვებებმა და გამოკვლევებმა დაგვარწმუნა, რომ კარგი შენახვისუნარიანობით გამოირჩევა ნექტარინის ჯიში მაქსი-7. შედარებით უფრო ნაკლებით ჯიშები - მორსიანი-60 და კალდეზი-2000.

ლიტერატურა

- Щербец Б. А., Соколова С.А., Черных О.В. Сбор и хранение плодов персика. Садоводство и виноградство. 1991, №11, сс. 2-4.
- კვალიაშვილი გ., მელანაშვილი ნ., შაფათავა ზ. ატმის პიბრიდების შენახვის ტექნოლოგია, /ახალგაზრდა მეცნიერ-მუშავთა და ასპირანტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის თემისები. თბილისი 1991.
- შაფათავა ზ., ბასილიცა ი. ვაშლისა და ფეიხოას ნაყოფის სუნთქვის ინტენსივობა შენახვის ტემპერატურასთან დამოკიდებულებაში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მცნიერებათა აკადემია, ქურნალი მოამბე, 2003 გ. 11, გვ. 86-88.

SUMMARY

RESPIRATION INTENSITY OF SOME STONE FRUITS DURING STORAGE

Zhgenti M.S., Gulua L.K. and Turmanidze T.V.

Agricultural University of Georgia

The dynamics of respiration intensity of promising peach, plum and nectarine cultivars, growing in Georgia, during storage was investigated. The cultivars notwithstanding long storage were identified, the loss during storage was assessed.

Keywords: stone fruit, storage, respiration intensity, climacterix.

**ზოგიერთი რძილაზე უმატესი ცვლილება პურპოვანი
ხილის შენახვის პროცესში**

გარუჩავა მ.ჭ., გულუა ლ.პ., ულენტი მ.ს., თურმანიძე თ.ჭ.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

საქართველოში გავრცელებულ ხეხილოვან კულტურათა შორის კურკოვან კულტურებს ატამს, ქლიავს და ნექტარინს თავისი კვებითი და გემური თვისებების გამო განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ნაყოფები გამოირჩევიან საუკეთესო გემური თვისებებით, სასიამოვნო არომატით და მიმზიდველი გარეგანი სახით. ამასთან წარმოადგენენ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მნიშვნელოვან ბუნებრივ წყაროს.

ნაყოფის ხედლად შენახვის სანგრძლივობა ძირითადად დამოკიდებულია სუნთქვის პროცესზე, მაგრამ ოქსიდაზური ფერმენტების, კერძოდ, პეროქსიდაზას და ო-დიფენლოქსიდაზას აქტივობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ნაყოფის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას შენახვის პროცესში.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა კურკოვან ხილში ოქსიდაზური ფერმენტების პეროქსიდაზას და ო-დიფენლოქსიდაზას აქტივობა შენახვის წინ და მისი ცვლილება შენახვის პროცესში. დაგვედგინა კალციუმის ქლორიდის და უკალიპტის აქტრაქტის კომბინირებული ხენარის გავლენა ოქსიდაზური ფერმენტის აქტივობაზე.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა კურკოვანი კულტურები: ატამი, ნექტარინი და ქლიავი. შენახვის წინ ნიმუშები დამუშავებული იყო კალციუმის ქლორიდის და მგალიპტის ხენარების 2%-იანი კომბინირებული ხენარით. შესადარებლად აღებული იყო საკონტროლო ნიმუშები. საცდელი ნიმუშები ინახებოდა 0-1°C-ს ტემპერატურაზე 85-90% ფარდობითი ტენიანობის პირობებში.


პეროქსიდაზას აქტივობას ვსაზღვრავდით გალის მჟავას დაჟანგვით, წყალბადის ზეანგის თანაობისას 1 წუთიანი ექსტრინციის სხვაობით. გაზომვები მიმდინარეობდა სპექტროფორომეტრზე (CF-2100), 385 ნმ ტალღის სიგრძეზე. ცდები ჩატარდა აღნიშნული ფერმენტით გვაიაკოლის დაჟანგვაზეც. საკონტროლო ცდებში ფერმენტული პრეპარატის ხაცვლად გამოვიყენეთ გამოხდილი წყალი [1,2].

ფენოლოქსიდაზას შემთხვევაში აქტივობა განგსაზღვრეთ წინასწარ გასუფთავებული პიროკატებინით (თავდახურულ ჭურჭელში გაცხელებით ადუდებამდე, აქროლებით, გაციებით და გამოკრისტალებით) დამზადებული სუბსტრატის დაჟანგვით 1 წუთიანი ექსტრინციის სხვაობით. გაზომვები მიმდინარეობდა სპექტროფორომეტრზე (CF-2100), 430 ნმ ტალღის სიგრძეზე. ორივე ფერმენტის შემთხვევაში ხვედრითი აქტივობა გამოანგარიშებული იქნა ექსტრინციის სხვაობის ანუ ექსტრინციის კოეფიციენტის გაყოფით ამავე კულტურების ცილოვანი სუპერნატანტის 1მლ-ში არსებულ ცილაზე მგ-ში [3].

ცილის საერთო რაოდენობა განისაზღვრა 595 ნმ ტალღის სიგრძეზე (ცხრ.1). აგებულ იქნა საკალიბრო მრუდი (ნახ.1).

ცხრილი 1. ცილის საერთო რაოდენობის განსაზღვრა

ცილის დედა ხენარი, მკლ	წყალი, მკლ	ცილა, მკბ/მლ	ოპტიკური სიმკვრივე, 595 ნმ
10	990	10	0,1732
25	975	25	0,3920
35	965	35	0,5236
40	960	40	0,6074
60	940	60	1,8953
70	930	70	1,2053



ნახ.1. ცილის საერთო რაოდენობის საკალიბრო მრუდი

მიღებული შედეგებიდან ჩანს, ატმის ქლიავის და ნექტარინის შესწავლილი ჯიშები განსხვავდებიან მუანგველ-ალმდგენელი ფერმენტების პეროქსიდაზას და ო-დიფენლოქსიდაზას აქტივობით. ამავე დროს 2% კომბინირებული ნაზავით დამუშავებულ ნიმუშებში შენახვის პროცესში შემცირებულია ფერმენტების აქტივობა დაუმუშავებულ ნაყოფებთან შედარებით. (ცხრ. 2 და 3).

ცხრილი 2. ფერმენტ თ-დიფენლოქსიდაზას ხვედრითი აქტივობა საცდელ შენახულ ნიმუშებში


ნიმუშები		საწყისი	25 დღე	40 დღე	50 დღე	60 დღე	70 დღე
ქლიავი	კონტროლი	0,35	0,46	0,55	0,65	-	-
	2% ნაზავი	0,37	0,37	0,39	0,48	0,44	0,42
ატამი	კონტროლი	0,37	0,48	0,74	0,32	-	-
	2% ნაზავი	0,37	0,43	0,50	0,54	0,59	0,40
ნექტარინი	კონტროლი	0,42	0,55	0,72	0,40	-	-
	2% ნაზავი	0,40	0,43	0,43	0,45	0,47	0,39

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ შენახვიდან მე-60-ე დღეს კურკოვან ნაყოფებში ხდება ო-დიფენლოქსიდაზას ხვედრითი აქტივობის მატება. შემდეგ მართალია მისი ხვედრითი აქტივობა მცირდება, მაგრამ 60-დან 90 დღემდე მაინც ინარჩუნებს შედარებით მაღალ ხვედრით აქტივობას. ანალოგიური კანონზომიერება ფიქსირდება ფერმენტ პეროქსიდაზას ხვედრითი აქტივობის თვალსაზრისით. (ცხრ. 2)

ცხრილი 3. ფერმენტ პეროქსიდაზას ხვედრითი აქტივობა საცდელ ნიმუშებში

ნიმუშები		საწყისი	25 დღე	40 დღე	50 დღე	60 დღე	70 დღე
ქლიავი	კონტროლი	0,30	0,58	0,72	0,38	-	-
	2% ნაზავი	0,31	0,31	0,35	0,35	0,35	0,32
ატამი	კონტროლი	0,40	0,58	0,72	0,38	-	-
	2% ნაზავი	0,34	0,36	0,37	0,39	0,42	0,35
ნექტარინი	კონტროლი	0,32	0,46	0,72	0,30	-	-
	2% ნაზავი	0,32	0,38	0,47	0,53	0,56	0,47

ამ კულტურებიდან თავისი მაღალი ხელისუფლითობით გამოირჩევა ნექტარინი. მართალია ატმის ხელისუფლითობით აქტივობა პირველ სამოც დღემდე მატულობს, მაგრამ 60 დღის შემდეგ მისი აქტივობა მკვეთრად მცირდება სხვა კულტურებთან შედარებით. შესაძლებელია ამ დროს მოსალოდნელი კრებოლური აქტივობა არ არის განპირობებული აღდგენილი Cu^{2+} იონების არსებობით. რადგანაც ზოგიერთი მკვლევარის აზრით ო-დიფენლოქსიდაზური აქტივობა განისაზღვრება დაუანგული საილენტის Cu^{2+} -იონებით. აქედან გამომდინარე ექსპერიმენტის მსვლელობისას შეგნებულად არ იქნა გამოყენებული დიეთოლდითოკარბატი. რადგანაც ო-დიფენლოქსიდაზა ამ უკანასკნელით განიცდის ინკიბირებას. კერძოდ, ო-დიფენლოქსიდაზა პროსტეტულ ჯგუფში შეიცავს საილენტის იონს და საილენტის იონი წარმოქმნის ქიმიურ ნაერთს დიეთოლდითოკარბონატთან. ეს უკანასკნელი ახდენს ფერმენტის აქტიური ჯგუფის ბლოკირებას, რის გამოც თვით ფერმენტი კარგავს აქტივობას. კვლევების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ო-დიფენლოქსიდაზას მოქმედების აღდგენითი პროცესები შესუსტებულია, რის გამოც წარმოიქმნება ქინონების სიჭარბე. ექსპერიმენტში გამოყენებული კალციუმის ქლორიდის და ევგალიპტის ექსტრაქტის სხვადასხვა კონცენტრაციის სხნარიდან ყურადღებას იქცევს 2%-იანი სხნარით დამუშავებული ნიმუშები. გარეგნულად ისინი იყო კარგი შესახედაობის, არ იყო გამომშრალი, დამჭერი და სხვა. ჟანგვა-აღდგენითი ფერმენტების აქტივობის ცვლილება მოცემულია ნახ.2-ზე.



ნახ.2. კენკროვანი კულტურების ნაყოფებში ო-დიფენლოქსიდაზას და პეროქსიდაზას ხელისუფლითობით ატმის ცვლილება ექსპონიციისგან დამოკიდებულებით

როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, კურკოვან ნაყოფებში პეროქსიდაზას აქტივობის შესწავლისას გამოვლინდა რომ, მისი აქტივობა ო-დიფენლოქსიდაზას აქტივობასთან შედარებით დაბალია. ამ თვალსაზრისით კულტურების შედარებით მაღალი აქტივობით გამოირჩევა ნექტარინი და ქლიავი.

შესწავლილი კურკოვანი კულტურების ნაყოფების 2% კომბინირებული სხნარით წინასწარი დამუშავების შედეგად უკრედები ძირითადად კარგად ინარჩუნებენ

თავიანთ სტრუქტურას. ამავე დროს შენელებულია უანგვა-ადდგენითი ფერმენტების პეროქსიდაზას და ო-დიფენოლოქსიდაზას ხვედრითი აქტივობა დაუმუშავებელ ნაყოფებთან შედარებით.

ჩატარებული კვლევის შედეგად შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

კურკოვანი კულტურების ნაყოფების შენახვისუნარიანობის გაზრდის მიზნით რეკომენდირებულია კალციუმის ქლორიდისა და ევგალიატის ექსტრაქტის 2%-იანი ნაზავით ნაყოფების წინასწარი დამუშავება. ო-დიფენოლოქსიდაზასა და პეროქსიდაზას დაბალი ხვედრითი აქტივობა მიუთითებს იმაზე, რომ ამ ნაყოფებში ეს ფერმენტები წარმოდგენილია სხვადასხვა იზოფორმების (იზოფერმენტების) სახით. პეროქსიდაზას მოქმედების დროს უჯრედში არ ხდება ატფ-ს დაგროვება, ამიტომ კოვლით, რომ ის არ მიეკუთვნება ტერმინალურ ფერმენტს.

ЛИТЕРАТУРА

1. Чупахина Г.Н.Физиологические и биохимические методы анализа растений. -Калинград, изд-во КГУ, 2000, 59 с.
2. Луковникова Г.А., Иконникова М.И. Методы биохимического исследования растений. -Л.: Агропромиздат, 1987, 456 с.
3. Королюк М.А., Иванов Л.И. и др. Метод определения активности каталазы. // Лаб. дело, 1988, №1 сс. 16-18.

SUMMARY

CHANGES IN SOME OXIDATIVE ENZYMES IN STONE FRUITS DURING STORAGE

Garuchava M.V., Gulua L.K., Zhgenti M.S. and Turmanidze T.V.

Agricultural University of Georgia

The activity of oxidative enzymes peroxidase and o-diphenoloxidase in peaches, plums and nectarines was studied. The dynamics of changes in these enzymes during storage of fresh fruit is discussed.

Keywords: peroxidase, o-diphenoloxidase, enzyme activity, stone fruit, storage.

**ПРОТИВООПУХОЛЕВАЯ АКТИВНОСТЬ КОМПЛЕКСОВ МЕДИ Cu^{2+}
С КЛОТРИМАЗОЛОМ КАК СЛЕДСТВИЕ ФОРМИРОВАНИЯ СПЕЦИФИЧЕСКОЙ
ПЕНТАКООРДИНАЦИОННОЙ СТРУКТУРЫ**

**Чигогидзе Н.Ш., Цивцивадзе Т.И., Надирадзе И.Ш., Клдиашвили Р.Ш.,
Петриашвили Ж.Д., Джапаридзе Р.Дж.**

**Научный центр биологически активных веществ
Грузинского технического университета**

Структура имидазола является основой многих биологически активных веществ, необходимых для живых систем и организмов. Кроме того, для нормального функционирования живых организмов требуется присутствие специфических металлов, называемых микроэлементами: ванадий, хром, марганец, железо, кобальт, никель, медь, цинк, молибден и др. Ионы микроэлементов в биологических системах образуют координационные соединения, где лигандами выступают азотистые гетероциклы, в частности, структура имидазола и её производные. Способность к образованию комплексов с переходными металлами заложена в структуре гетероциклических соединений из-за наличия в их составе донорных атомов азота. Такие соединения участвуют в стабилизации множества биологических структур, известны различные комплексы белков с ионами металлов; течение ферментных реакций также зависит от ионов металлов; работа рибосом и регуляция структур нуклеиновых кислот определяется природой металла и окружающими условиями.

Среди лекарственных препаратов – производных имидазола, наше внимание привлекли метронидазол и клотrimазол [1]. Метронидазол относится к антитропозойным средствам широкого спектра действия в отношении простейших. Его широко применяют для лечения острого и хронического трихомониаза; назначают также при лямблиозе и амебиазе, кожном лейшманиозе; как антибактериальное средство используют при анаэробных инфекциях. В последние годы метронидазол стали использовать для лечения гастродуodenальных язв, ассоциированных с *Helicobacter pylori*.

Препарат нарушает дезинтоксикацию алкоголя (оказывает угнетающее влияние на фермент ацетальдегидрогеназу), повышает уровень ацетальдегида в крови и сенсибилизирует организм к действию алкогольных напитков. Аналогичный эффект наблюдается у препарата тетурам. Поэтому метронидазол можно применять для лечения больных алкоголизмом.

Наше внимание он привлек ещё и потому, что метронидазол используют для повышения чувствительности опухолей к лучевой терапии.

Клотrimазол был первым синтетическим имидазолиновым антифунгальным препаратом, широко вошедшим в медицинскую практику с 1970 года. Вслед за ним появился ряд других противогрибковых производных имидазола и триазола. Клотrimазол активен в отношении патогенных дерматофитов, дрожжевых грибов, возбудителей разноцветного лишая и эритразмы, оказывает также антибактериальное действие на стафилококки и стрептококки.

Метронидазол и клотrimазол, благодаря наличию донорного атома азота, могут выступать в качестве активных лигандов в реакциях комплексообразования с $3d$ -металлами. Поскольку в каждом из этих лекарственных средств сочетаются различные виды биологической активности (противомикробная, антитропозойная, противогрибковая и т.д.), то у них есть нечто общее, что не только способствует проявлению этих видов биологической активности, но и появлению совершенно новых фармакологических свойств и видов биологической активности.

Таким общим, на наш взгляд, являются реакции комплексообразования и формирование специфических пространственных структур вновь образующихся комплексов.

С помощью реакции комплексообразования возможно не только взаимное усиление биологических активностей, но и появление совершенно новой противоопухолевой активности у комплексного соединения меди с клотrimазолом, которая превосходит аналогичную даже у препарата цис-платина. При этом полученные координационные соединения клотrimазола с ионами металлов Cu^{2+} , Co^{2+} , Ni^{2+} и Zn^{2+} показывают возросшую цитотоксическую

активность по сравнению со свободным лигандом и уже имеющимся известным противоопухолевым препаратом цисплатин.

Как известно, механизм противоопухолевого действия цисплатина связан со способностью к бифункциональному алкилированию нитей ДНК, ведущему к длительному подавлению биосинтеза нуклеиновых кислот и гибели клетки. При приёме внутрь цисплатин неэффективен, поэтому его назначают внутривенно.

Ещё в 1974 году [2], на заре становления бионеорганической химии одним из нас была обнаружена специфическая комплексообразующая способность метронидазола с ионами меди (II). Структура соединения $[CuCl \cdot (MN)_2 \cdot (H_2O)]^+ Cl^-$ является ионной и построена из дискретных комплексных катионов $[CuCl \cdot (MN)_2 \cdot (H_2O)]^+$ и анионов Cl^- , что подтверждается данными молярной электропроводности. В дальнейшем методом рентгеноструктурного анализа был выявлен совершенно новый тип координации метронидазола с ионами меди (II). Вокруг атомов меди образуется тригонально-бипирамидальная координация из двух атомов азота, двух монодентатных молекул метронидазола, атомов молекул воды и мостикового атома хлора. Впервые было доказано, что координационное число меди в комплексе с метронидазолом равно 5.

В последствии это позволило нам объяснить механизм лигандной патологии, проявляемый данным лекарственным препаратом в организме [3].

Образуя „ложный” лиганд, метронидазол координирует с атомами меди медьюсодержащих ферментов и белков организма, блокирует их и вызывает различные патологические нарушения в организме (нарушение дезинтоксикации алкоголя в организме в качестве примера).

Это позволило в 2009 году [3] выдвинуть концепцию взаимно-индукционного соответствия лиганда и металло содержащих макромолекул организма, что, на наш взгляд, играет основную роль в возникновении лигандной патологии. При комплексообразовании в организме между биолигандами и металло содержащими белками происходит взаимная подстройка гибких структур, а не только их механическое совмещение как объектов с комплементарной конфигурацией типа „ключа” и „замка”. Иначе говоря, происходит одновременное изменение конформации и лиганда и макромолекулы, что в итоге даёт идеальную подгонку обеих молекул одна к другой.

В настоящий момент мы получили подтверждение американских коллег нашей концепции о роли формирования специфической пентакоординационной структуры комплексов ионов меди (II) с клотrimазолом, которая приводит к многократному усилению цитотоксических свойств препарата [4]. Мы считаем, что ДНК опухолевых клеток представляют собой реальную мишень для подобных комплексов. Многие биологические реакции сопровождаются конформационными изменениями молекул ДНК. ДНК с разным составом азотистых оснований различно взаимодействуют с тяжёлыми ионами металлов. У четырёх нуклеотидов – аденина, тимина, гуанина и цитозина – имеется десять различных возможных мест внедрения ионов металлов в соответствии с их расположением. Ионы 3d-элементов имеют преимущественные места связывания и вызывают разные эффекты за счёт того, что они могут связываться как с фосфатными группами, так и с гетероциклическими основаниями [5]. Причём каждый ион металла первого переходного ряда характеризуется разными значениями относительного сродства к этим двум участкам.

Специфичность заложена не в самом взаимодействии ион металла – нуклеотид, а в природе конформации места связывания. Последняя, в свою очередь, зависит от природы соседних последовательностей ДНК, от ионной силы и значения pH . Структурные изменения такого рода объясняют механизм переноса биологической информации, содержащейся в молекулах ДНК. Можно регулировать взаимное превращение двойной спирали, одноочной спирали и хаотического клубка путём выбора ионов двухвалентных металлов и количества других электролитов. Идея, что ионы металлов не разбросаны беспорядочно вдоль молекулы ДНК, впервые была высказана Кирби [6], который полагал, что металлы могут служить связками между нуклеиновыми кислотами и белками в дезокси- и рибонуклеопротеинах.

Пуриновые

Аденин Ade
(6-аминопурин)

Пиримидиновые

Гуанин Gua
(2-амино-6-оксопурин)

Тимин Thy
(5-метил-2,4-диоксопиримидин)

цитозин Сyt
(4-амино-2оксопиримидин)

Рис. 1. Нуклеиновые основания (в лактамной форме)

Тимин

Аденин

Цитозин


Гуанин

Рис. 2. Образование водородных связей между парами комплементарных нуклеиновых оснований


Гидрокси- и аминопроизводные гетероциклических соединений способны к лактим-лактамной и амино-иминной таутомерии. Однако, при физиологических условиях нуклеиновые основания существуют только в лактамной и иминной формах (рис. 1).

Нуклеозиды устойчивы к гидролизу в слабощелочной среде, но расщепляются в кислой. При этом, пуриновые нуклеозиды гидролизуются легче, чем пиримидиновые. Между пуриновым основанием одной цепи и пиримидиновым основанием другой цепи ДНК возникают водородные связи. Эти основания составляют комплементарные пары. Аденин и тимин составляют одну комплементарную пару. Другую пару комплементарных оснований составляют гуанин и цитозин (рис. 2).

Водородные связи образуются между аминогруппой одного основания и карбонильной группы другого



а также между амидным и имидным атомами азота



Комплементарность цепей составляет химическую основу важнейшей функции молекулы ДНК – хранения и передачи наследственных признаков. Залогом безошибочной передачи генетической информации является сохранность нуклеотидной последовательности. Однако, под воздействием различных факторов нуклеотидная последовательность ДНК может подвергаться разным видам мутаций, которые, накапливаясь, и приводят к возникновению опухолей.

С химической точки зрения рассмотрим некоторые из них.

Тимин

I. Тимин в лактамной форме: комплементарная пара с гуанином не образуется

Гуанин

II. Тимин в лактимной форме образует комплементарную пару с гуанином

Рис. 3. Пример возникновения мутации в результате сдвига таутомерного равновесия

Наиболее распространённым видом мутации является замена какой-либо пары оснований на другую. Часто причиной такой замены может являться сдвиг таутомерного равновесия. Например, тимин в лактамной форме не образует водородные связи с гуанином (рис. 3), а в лактимной форме образует необычную пару тимин-гуанин (рис. 3). Замена физиологических пар оснований передаётся при транскрипции („переписывании“) генетического кода с ДНК на РНК и приводит в итоге к изменению аминокислотной последовательности в синтезируемом белке. При накоплении мутаций возрастает и количество ошибок в биосинтезе белка.

Другой причиной возникновения мутаций служит воздействие различных видов излучений.

Одной из главных причин возникновения мутаций служит воздействие химических факторов. Различные химические соединения, называемые мутагенными или канцерогенными веществами, приводят к возникновению опухолевых новообразований. Рассмотрим пример химической мутации под воздействием нитритов (рис. 4).



Рис.4. Пример возникновения мутации под воздействием химических факторов(мутагенных или канцерогенных веществ)

Если на аденоzin подействовать азотистой кислотой, то в результате реакции дезаминирования аминогруппа превратится в гидроксильную, вследствие чего из аденоzина получается другой нуклеотид – инозин, содержащий гипоксантин. Это приводит к замене в ДНК комплементарной пары оснований, так как адениновый нуклеотид комплементарен тиминовому, а инозин может образовывать комплементарную пару только с цитидиновым нуклеозидом.

Вместе с тем, нуклеотиды имеют большое значение не только как строительный материал для молекул нуклеиновых кислот. Особенно важны они в роли коферментов, необходимых для проявления ферментативной активности в биохимических процессах.

Вышеизложенное позволяет нам сделать вывод, что в результате комплексообразования ионы меди (II) вызывают конформационные изменения, приводящие к появлению совершенно новой противоопухолевой активности у комплексного соединения с клотrimазолом с формированием специфической пентакоординационной структуры [7].

ЛИТЕРАТУРА

1. Машковский М.Д. Лекарственные средства., 15-е изд. – М., ООО „Издательство Новая Волна”, 2005, 1200с.
2. Чигогидзе Н.Ш., Цивцивадзе Т.И., Джавахишвили З.О. Координационные соединения кобальта (II), никеля (II) с никодином и меди (II) с метронидазолом./XIX Республиканская научно-техническая конференция проф.-преп. состава ГПИ и работников производства. Тезисы докладов. - Тбилиси, 1975, сс. 313-314.
3. Чигогидзе Нодар. Синтез и исследование физико-химических и биологических свойств биокоординационных соединений некоторых биогенных и токсичных элементов с никодином и

метронидазолом. Докторская диссертация по химии. Грузинский технический университет. Тбилиси, Грузия, 2009, 151с.

4. Soledad Betanzos-Lara, Celedonio Gómez-Ruiz, Lidia R. Barrón-Sosa, Isabel Gracia-Mora, Marcos Flores-Álamo, Noráh Barbara-Behrens. Cytotoxic copper (II), cobalt (II), zinc (II), and nickel (II) coordination compounds of clotrimazole.//J. Inorg. Biochem., 2012, 114, pp. 82-93.

5. Сысоев И., Гривар Ж., Гийе Э. Исследование взаимодействия ионов металлов с ДНК. Специфическое поведение повторяющихся последовательностей ДНК. - Тбилиси, 1978, Институт физики АН ГССР, 72с.

6. Kirby K.// Biochem. J., 1958, 70, p. 260.

7. წიგწივაძე თ., ჩიგიძე ნ., ციტოსიზმული რ., სხილაძე რ., სულაქველიძე გ. მეტრონიდაზოლის სტრუქტურულ თავისებურებათა გამოკვლევა და 5-კოორდინაციული სპილენდის კომპლექსთა ბიოაქტიურობის კონცეფცია. თბილისი, 2013, 72 გვ.

SUMMARY

ANTICARCINOGENIC ACTIVITY OF THE COMPLEXES OF Cu²⁺ IONS WITH CLOTRIMAZOLE AS A RESULT OF FORMATION OF THE SPECIFIC COORDINATE STRUCTURE

Chigogidze N.Sh., Tsivtsivadze T.I., Nadiradze I.Sh., Kldiashvili R.S., Petriashvili J.D. and Japaridze R.J.
Scientific Center of Biologically Active Substances, Georgian Technical University

Coordinate compounds of bivalent copper with clotrimazole were synthesized, and their composition, structure and biological activity were studied. Preparation clotrimazole (bioligand) belongs to imidazole derivatives (heterocyclic compounds) which combine different kinds of biological activity: antimicrobial, antiprotozoal, antifungal etc. It is shown that, by the reaction of complex formation with 3d-metals, both mutual enhancement of these activities and the emergence of an essentially new anticancirogenic activity of a complex compound of copper with clotrimazole, better than that of cisplatin, are possible. Possible mechanisms of the anticancirogenic effect of such complexes are discussed. The concept of the role of the formation of the specific pentacoordinate structure of the complexes of Cu²⁺ with imidazole derivatives in the enhancement of cytotoxic activity of these preparations, we proposed, is confirmed.

Keywords: tumor, cell, inhibitor, chemotherapy, imidazole derivatives.


1 პარის პიბოს მშერცელობა პიოდებრაზირვად კოლიმერში ღვარნირვბული
5-ფტორურაცილი: შეზღუდული კლინიკური პრევენციის შედეგები

ქაბლაშვილი ნ.გ., ქუციავა ნ.ა., ქაცარავა რ.დ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბიოსამედიცინო დანიშნულების ბიოდეგრადირებადი პოლიმერების ქიმია [1], განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საშუალებას იძლევა შეიქმნას თერაპიული დანიშნულების ბიოკომპოზიტური პრეპარატები, რომლებიც პერსპექტულია წამლების ლოკალური მიწოდებისათვის. განსაკუთრებით ეფექტურია ლოკალური მიწოდების სისტემები სიმსივნური დაავადებების შემთხვევაში, მით უმეტეს, თუ სიმსივნური წარმონაქმნი ლოკალიზებულია ზედაპირზე, მაგალითად, კანის კიბო. ამ პროგრესული მიდგომის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბიოდეგრადირებად პოლიმერულ მატრიქსში ჩართული (დეპონირებული) წამალი გამოთავისუფლდება დანიშნულების აღგილზე განუწყვეტლივ და კონტროლორებადი სიჩქარით.

ლოკალური მიწოდებისთვის ჩვენს მიერ შექმნილი პოლიმერული ბიოკომპოზიტური პრეპარატი „ფტოროკოლი“ წარმოადგენს ელასტიკურ ფირს, რომელშიც დეპონირებულია ფართოდ გავრცელებული ციტოსტატიკური პრეპარატი 5-ფტორურაცილი (5-FU). პრეპარატის შესაქმნელად მატრიქსის სახით გამოვიყენეთ ბიოდეგრადირებადი პოლიესტერამიდი. აღნიშნული მატრიქსი შედგება ამინოჰემი ფენილალანინის, სებაცინის მევისა და 1,6-ჰექსანდიოლისაგან. რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში (სამკურნალო საშუალებების სარეგისტრაციო მოწმობა 003999, 24 XI 2010). დარეგისტრირებული პოლიესტერამიდი შედის ჭრილობის საფარ აეროზოლურ პრეპარატ „კოლადერმის“ შემადგენლობაში, რომელსაც აწარმოებს ფარმაცევტული კომპანია „ნეოფარმი“. ბიოდეგრადირებადი პოლიესტერამიდის სინთეზი ჩავატარეთ შემდეგი სქემის მიხედვით:



TosOH = პარა-ტოლუოლსულფომჟავა

თავდაპირველად ბიოკომპოზიტს ვიღებდით ორი შემადგენლობით: 1) პოლიმერი + 5-FU და 2) პოლიმერი + 5-FU + ფერმენტი (პროტეაზა) ტრიფსინი. ბიოკომპოზიტურ პრეპარებებს მზადდებოდა მშრალი, ელასტიკური ფირების სახით ქლოროფორმის ხსნარიდან გლუვ, ჰიდროფობურ ზედაპირზე დასხმისა და გამხსნელის

აორთქლების მეთოდით [2]. შევნიშნავთ, რომ ფერმენტის (ტრიფსინის) დამატებისას პოლიმერ/5-FU-ის გამჭვირვალე სხსარში, წარმოიქმნება სუსპენზია (ფერმენტი არ იხსნება ქლოროფორმში), რაც იცავს მას დრმა ინაქტივაციისგან და მიღებულ პოლიმერულ ბიოკომპოზიტში იგი ინარჩუნებს აქტივობას. ამაზე მეტყველებს ჩვენს მიერ შესწავლილი [2] ბიოკომპოზიტური ფირებიდან აქტიური საწყისის (5-ფტორურაცილის) გამოყოფის კინეტიკა 0,2 ფოსფატის ბუფერში pH-ით 7,4: ნაჩვენებია, რომ ტრიფსინი, რომელიც იწვევს პოლიმერის ეროზიას, გარკვეულწილად აჩქარებს ფირებიდან 5-ფტორურაცილის გამოყოფას. შემდგომში დავადგინეთ, რომ პრეპარატის უფრო მოხერხებულ ფორმას წარმოადგენს თხიერი პრეპარატი - პოლიმერის ეთანოლის ხსნარში სუსპენზირებული 5-FU (უკანასკნელი არა იხსნება ეთანოლში): ასეთი სუსპენზის კანის ზედაპირზე შეფრქვევის შემდეგ, იგი თანაბრად ეფინება დაზიანებულ ადგილს და ეთანოლის (სწრაფი) აორთქლების შემდეგ წარმოქმნის სასურველ ელასტიკურ პოლიესტერამიდის ფირს მასში დეპონირებული 5-FU-ით, რომელიც მჭიდროდ ეკვრის ჭრილობის ზედაპირს და არ საჭიროებს დამატებით ფიქსაციას. ერთადერთი ნაკლი თხიერი პრეპარატისა არის ის, რომ მასში ფერმენტის (ტრიფსინის) შეუძლებელია, ვინაიდან იგი ძალზე სწრაფად ინაქტივირდება ეთანოლში. ამგვარად, ეთანოლის სუსპენზის გამოყენებისას საქმე გვქონდა უფერმენტო ბიოკომპოზიტი. შევაფასეთ რა pros and cons, ასევე გავითვალისწინეთ, რომ ფერმენტიანი ფირებიდან ფოსფატის ბუფერში გამოსული 5-FU-ის რაოდენობა მაქსიმუმ 20%-ით აღემატებოდა უფერმენტო ფირიდან გამოსული პრეპარატის რაოდენობას, უპირატესობა მივანიჭეთ ხმარებაში უფრო მოხერხებულ თხიერ პრეპარატს.

შემდგომში კლინიკური კვლევები ჩავატარეთ ამ პრეპარატის (სუსპენზის) გამოყენებით. „ფტოროკოლის“ უსაფრთხოების კვლევამ დაადასტურა, რომ პრეპარატს მაქსიმალური დოზით გამოყენების შემთხვევაშიც კი არ ახასიათებს მწვავე ტოქსიკური, კუმულაციური, ადგილობრივ გამაღიზიანებელი და ალერგიული თვისებები [3,4]. აღნიშნულმა გარემოებამ საშუალება მოგვცა გამოგვყენებინა „ფტოროკოლი“ კანის ონკოპათოლოგიების სამკურნალოდ.

პოლიმერული ბიოკომპოზიტი „ფტოროკოლი“ პაციენტებს მიეწოდებოდა ქიმიოთერაპიული მკურნალობის მიზნით. მკურნალობა ხდებოდა - ლოკალურად და კომბინირებულად (პაციენტები დააყოფილი იყო ორ ჯგუფად, თვითონეულ ჯგუფში 35 პაციენტი). ლოკალური მკურნალობის დროს თხიერი პრეპარატი დაგვქონდა აეროზოლის (სპრეის) სახით კანის დაზიანებულ უბაზზე. კომბინირებული მკურნალობის დროს, პრეპარატის აღნიშნულ ლოკალურ აპლიკაციასთან ერთად პაციენტს ვუტარებდით სტანდარტულ (რეგიონალურ) ქიმიოთერაპიას.

პრეპარატის მხოლოდ ლოკალური გამოყენებისას მის აპლიკაციას ვახდენდით კვირაში 3-ჯერ. კომბინირებული მკურნალობისას პრეპარატის აპლიკაციას ვახდენდით კვირაში ერთხელ ან ორჯერ, პაციენტის მდგომარეობის მიხედვით.

პაციენტის მკურნალობის უფასების შეფასება ხდებოდა იმუნოფერმენტული კვლევით, კერძოდ სისხლის შრატში სიმსივნური უჯრედების რაოდენობის შეფასებით. გამოკვლევას ვახდენდით კარცინოემბრიონალური ანტიგენის განსაზღვრით (CEA).

კვლევებისა და დაკვირვებების შედეგად დადგინდა, რომ კომბინირებული მკურნალობისას (ცხრ. 1) დადებითი ეფექტი (სიმსივნური უჯრედების შემცირება) კლინიდებოდა 20 კვირის შემდეგ, ანუ უფრო უფრო ადრე, ვიდრე ლოკალური მკურნალობის შემთხვევაში, მაგრამ მაღალი იყო პაციენტთა ინტოქსიკაცია (დებინება). ლოკალური მკურნალობის დროს (ცხრ. 2) მაქსიმალური ეფექტი გამოიხატა 28 კვირის შემდეგ. სანაცვლოდ, პაციენტებს არ აღენიშნებოდათ

ინტენსივურის მოვლენები, რაც პრაქტიკულად გარდუგალია ციტოსტატიკების გამოყენებისას.

**ცხრილი 1. გომბინირებული ქიმიო თერაპია (ლოკალური + რეგიონალური)
I- IV-VIII - XII -XVI-XX კვირა**

პაციენტი	CAE რიცხობრივი მაჩვენებელი					
	I კვირა	IV კვირა	VIII კვირა	XII კვირა	XVI კვირა	XX კვირა
1	24,3	17,1	12,4	9,1	5,0	1,0
2	42,6	37,4	30,4	22,4	10,0	3,0
3	39,5	30,5	23,5	15,5	9,5	2,4
4	30,5	24,5	19,6	11,0	5,0	0,0
5	22,5	19,8	18,6	9,8	6,2	2,1
6	26,2	23,3	14,6	9,6	3,2	3,2
7	21,4	17,5	12,5	8,2	6,7	1,3
8	42,4	33,1	26,5	16,4	7,3	3,4
9	33,6	29,5	20,6	18,2	10,0	5,0
10	50,0	42,0	25,0	14,2	8,0	2,4
11	20,7	18,5	10,4	7,8	2,9	2,2
12	36,0	30,3	25,0	20,3	14,8	5,4
13	20,5	19,4	14,5	10,0	8,6	1,0
14	38,0	29,4	21,4	17,2	11,0	5,0
16	35,7	36,8	24,5	16,3	11,7	4,1
17	36,9	32,0	25,3	17,8	9,9	2,4
18	32,2	24,2	15,0	11,0	7,7	1,2
19	16,3	18,4	13,6	9,9	7,1	0
20	59,0	42,3	25,3	20,0	15,1	3,2
21	22,4	22,5	19,5	11,0	7,5	2,1
22	29,9	23,2	18,1	9,2	7,3	1,3
23	38,9	29,5	19,4	11,3	8,8	3,9
24	26,6	22,1	17,7	12,2	9,3	3,3
25	55,0	38,8	29,0	22,1	11,0	4,4
26	30,2	22,6	16,1	10,1	8,4	1,2
27	35,5	30,2	27,1	20,4	15,3	3,7
28	28,0	22,2	20,0	14,5	9,8	2,3
29	47,7	40,4	32,0	22,6	17,2	5,2
30	51,3	44,4	35,0	28,1	15,0	4,2
31	33,0	28,3	17,2	15,9	7,9	1,0
32	31,8	30,2	22,2	19,0	10,2	4,4
33	46,2	42,2	35,1	26,3	14,0	5,1
34	32,3	29,0	24,2	20,1	12,0	2,4
35	42,7	31,6	24,4	13,0	7,2	2,0

ცხრილი 2. ლოკალური ქიმიო თერაპია მეურნალობის I-IV-VIII-XII-XVI-XX-XIV-XVIII კვირა

პაციენტი	CAE რიცხობრივი მაჩვენებელი							
	I გვირა	IV გვირა	VIII გვირა	XII გვირა	XVI გვირა	XX გვირა	XXIV გვირა	XXVIII გვირა
1	50,8	42,3	35,5	28,2	22,4	16,0	10,0	3,0
2	46,6	30,0	24,2	20,2	15,3	12,2	8,4	4,1
3	40,7	34,5	32,0	26,6	22,3	17,2	10,2	3,0
4	13,8	20,4	22,8	19,2	17,3	11,0	8,1	2,3
5	41,6	36,2	38,0	31,4	25,3	20,3	12,2	4,2
6	38,4	33,3	35,1	29,0	28,2	19,4	12,9	2,9
7	38,5	35,7	34,6	28,6	24,3	19,5	15,0	4,8
8	47,8	38,5	39,2	30,3	22,7	18,1	10,0	3,8
9	45,9	40,2	38,5	31,5	27,4	19,5	11,5	4,9
10	32,4	34,7	30,6	23,3	18,6	14,7	11,2	3,4
11	42,0	34,7	38,1	35,7	24,1	18,5	12,4	3,6
12	30,4	34,9	38,4	34,7	22,8	16,9	17,4	2,6
13	28,4	35,9	30,2	29,0	25,2	19,3	11,4	3,0
14	39,0	32,0	27,9	22,4	20,0	15,9	10,0	3,9
15	38,5	35,0	32,2	29,8	25,0	20,7	16,1	5,0
16	52,3	44,1	34,8	30,4	19,5	19,4	12,1	5,1
17	33,3	27,9	31,9	27,0	25,6	18,9	13,5	3,0
18	30,4	29,6	27,8	29,0	19,4	17,6	12,0	3,8
19	29,5	26,5	24,0	22,9	22,3	18,0	12,3	4,0
20	35,2	30,4	30,4	28,0	25,8	18,7	10,4	3,7
21	34,5	30,2	27,6	21,2	19,4	14,3	9,6	1,6
22	39,5	36,5	25,8	23,9	16,9	12,4	10,6	2,1
23	45,5	40,2	36,6	32,9	27,1	19,3	12,2	2,9
24	47,3	40,0	36,7	30,4	22,3	13,7	12,5	3,9
25	43,7	40,1	38,1	35,2	25,5	19,3	14,2	4,0
26	43,4	39,3	34,6	30,1	24,2	19,0	12,3	3,2
27	29,5	28,4	26,5	26,0	17,3	13,3	8,4	2,2
28	45,8	45,8	32,6	26,6	21	16,2	11,0	2,4
29	42,3	39,9	37,7	34,2	28,4	17,5	4,9	4,7
30	40,9	36,8	31,8	26,4	21,1	17,3	10,8	3,9
31	30,1	26,6	25,1	25,0	19,1	14,2	7,2	2,3
32	49,1	36,9	34,5	24,4	18,2	13,2	7,1	4,0
33	42,2	37,4	32,1	27,5	22,1	17,7	11,2	5,0
34	36,6	32,7	26,6	21,8	18,7	23,4	7,8	3,9
35	34,4	29,9	33,1	30,1	22,0	13,2	9,2	2,2

ამრიგად, პოლიმერული ბიოკომპოზიტური პრეპარატ „ფტოროკოლიო“ კანის ლოკალური და კომბინირებულმა ქიმიო-თერაპიული მკურნალობის შედეგად დადგინდა, რომ მკურნალობის დადებითი ეფექტი პრეპარატის ლოკალური გამოყენების შემთხვევაში მიიღწევა შედარებით გვიან, სანაცვლოდ პაციენტებს არ აღენიშნებათ ინტოქსიკაციის მოვლენები, დამახასიათებელი ციტო სტატიკებისათვის.

ლიტერატურა

- R. Katsarava, Z. Gomurashvili, (2011). Biodegradable Polymers Composed of Naturally Occurring α -Amino Acids. In: Handbook of Biodegradable Polymers - Isolation, Synthesis, Characterization and Applications;

Lendlein, A.; Sisson, A.,Eds.; Wiley-VCH: Verlag GmbH & Co. KGaA, Weinheim, Germany, Chapter 5, pp.107-131.

2. 6. კუბლაშვილი, 6. კუპატაძე, დ. ტუდუში, 6. კუციავა, რ. ქაცარავა. კანის კიბოს მკურნალობა ბიოდეგრადირებად პოლიესტერამიღმი დეპონირებული 5-ფოთორურაცილით: ბიოკომპოზიტის მიღება და წამლის კონტროლირებადი გამოყოფის შესწავლა. //Georgian Engineering News, 2015, №1, (72), გვ. 114-119.
3. ს. ბაძგარაძე, 6. ჯოგლიძე, 6. კუციავა, რ. ქაცარავა. კანის კიბოს მკურნალობა ბიოდეგრადირებად პოლიმერში დეპონირებული 5-ფტორურაცილით: პოლიმერული პრეპარატის უსაფრთხოების შესწავლა. //Georgian Engineering News, 2015, №1, (73), გვ. 120-123.
4. 6. კუბლაშვილი, 6. ჯოგლიძე, 6. კუციავა, რ. ქაცარავა. კანის მკურნალობა პოლიმერში დეპონირებული 5-ფტორურაცილით. პოლიმერული პრეპარატის უსაფრთხოების შესწავლა. // კერამიკა, 2015, 1(33), გვ. 32-35

SUMMARY

TREATMENT OF '1 SKIN CANCERWITH 5-FLUORINE URACYL DEPOSITED ONTO A BIODEGRADABLE POLYMER: THE RESULTS OF LIMITED CLINICAL TESTING

Kublashvili N.G., Kutsiava N.A. and Katsarava R.D.

Georgian Technical University

The paper deals with the preparation 5-fluorine uracyl deposited onto a biodegradable polymer matrix for treatment of skin cancer. The polymeric preparation is given a title Ftorocol. The preparation was used for both local and combined chemotherapy. In the process of testing, the advantages of application of the preparation to local chemotherapy over combined one were confirmed. Toxic manifestations of 5-fluorine uracyl were considerably less in the case of local therapy.

Keywords: 5-fluorine uracyl, biodegradable polymer, skin cancer, treatment.

2015 წლის №4-ში გ.დ. უგრეხელიძის, რ.გ. ბურდიაშვილის, ნ.გ. ვეფხიაშვილის, მ.ლ. ჯავახიშვილის სტატიის „ვენოლები და ანტიოქსიდანტები აქტივობა სხვადასხვა გაზის ჯიშის ზოგის შემდეგი დასკვნით ნაწილში

პრის

ცდისათვის აღებული იყო საკონიაკე სპირტი 52,5 მოც% ალკოჰოლის შემცველობით. სპირტი მოვათავსეთ თანაბარი მოცულობის მქონე შვიდ ჭურჭელში (მინის ბოთლები 0,5 ლ). ექვს ჭურჭელში, თითოეულს დაემატა ზემოთ დასახელებული ვაზის ჯიშების ყურძნის წიაწები ტოლი რაოდენობით 10 – 10 გრ და დავაყოვნეთ 3 თვის განმავლობაში, ერთი დაგტოვეთ იყო საკონტროლო საკონტროლო, ისე საცდელი ნიმუშები მოვათავსეთ ერთსადაიმავე პირობებში. სამი თვის შემდეგ საცდელი ნიმუშები მოცილებული იქნა წიაწებიდან და ჩავატარეთ მათი ანალიზი (შედეგები მოტანილია ცხრილში).

მიღებული შედეგების საფუძველზე დადგენილი იქნა:

1. სხვადასხვა ვაზის ჯიშის ყურძნის წიაწები, როგორც ჯამური ფენოლური ნაერთების შემცველობა, ისე ანტიოქსიდანტობა სრულიად განსხვავებულია;
2. ანალიზებით ირკვევა, რომ ყველა ვაზის ჯიშის ყურძნი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას კახური წესით დაინის დასაყენებლად (მაგ: ვარდისფერი რქაწიოლელი).

შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ვაზის სხვადასხვა ჯიშების ყურძნის არა მარტო წიაწების, არამედ მტევნის ყველა მაგარი ნაწილების ფუნდამენტური გამოკვლევა საშუალებას მოგვცემს სწორად განვსაზღვროთ მათი გამოყენების არეალი.

უნდა იყოს

ცდისათვის აღებული იყო საკონიაკე სპირტი 52,5 მოც% ალკოჰოლის შემცველობით. სპირტი მოთავსდა თანაბარი მოცულობის მქონე შვიდ ჭურჭელში (მინის ბოთლები 0,5ლ). ექვს ჭურჭელში, თითოეულში დაემატა ზემოთ დასახელებული ვაზის ჯიშების ყურძნის წიაწები ტოლი რაოდენობით 10 – 10 გრ და დაყოვნებული იყო 3 თვის განმავლობაში, ერთი დაგტოვებული იყო საკონტროლო. როგორც საკონტროლო, ისე საცდელი ნიმუშები მოთავსებული იყო ერთსადაიმავე პირობებში. სამი თვის შემდეგ საცდელი ნიმუშები მოცილებული იქნა წიაწებიდან და ჩატარდა მათი ანალიზი(შედეგები მოტანილია ცხრილში).

მიღებული შედეგების საფუძველზე დადგენილი იქნა:

1. სხვადასხვა ვაზის ჯიშის ყურძნის წიაწები, როგორც ჯამური ფენოლური ნაერთების შემცველობა, ისე ანტიოქსიდანტობა სრულიად განსხვავებულია;
2. შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ვაზის სხვადასხვა ჯიშების ყურძნის არა მარტო წიაწების, არამედ მტევნის ყველა მაგარი ნაწილების ფუნდამენტური გამოკვლევა საშუალებას მოგვცემს სწორად განვსაზღვროთ მათი გამოყენების არეალი.



ლერი გვასალია - 80

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს ბატონ ლერი გვასალიას 80 წელი შეუსრულდა.

ლერი გვასალია დაიბადა 1935 წელს. ქ. ქუთაისში. 1953 წელს დაამთავრა ქ. ქუთაისის პირველი საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს ტექნიკური ინსტიტუტში. 1958 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაციით. თავისი შრომითი საქმიანობა ქ. რუსთავის ქიმიურ კომბინატში დაიწყო: იყო უფროსი მეაპარატე, ცვლის

უფროსი, საამქროს უფროსის მოადგილე.

ლ. გვასალიამ 1968 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1993 წელს კი სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

1969 წლიდან ბატონი ლერი საქართველოს ტექნიკურ ინსტიტუტში მოღვაწეობს, განვლო გზა ასისტენტიდან ქიმიური ტექნოლოგიების კათედრის გამგემდე.

ლ. გვასალია არის 150-მდე სამეცნიერო ნაშრომის, ხუთი სახელმძღვანელოს და ერთი მონოგრაფიის ავტორი. მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით.

ბატონი ლერი დღესაც აქტიურად ეწევა ნაყოფიერ მუშაობას როგორც პედაგოგი და ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი. იგი არის არა ერთი საკანდიდატო და სადოქტორო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქიმიური ფაკულტეტის ხარისხების მიმნიჭებელ საბჭოს.

ჩამოთვლილი წარმატებები შეუძლებელი იქნებოდა ბატონი ლერის ენერგიული შრომისა და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულების, სიახლისაკენ ლტოლვისა და რაც მთავარია სიყვარულის გარეშე, არ შეიძლება არ გამოვყოთ ბატონ ლერის პიროვნული თვისებები: თანამშრომლებისა და კოლეგებისადმი პატივისცემა, სურვილი დაეხმაროს ნაცნობ თუ უცნობ ადამიანებს და მუდმივი მზადყოფნა პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონ ლერის დამოკიდებულება და ურთიერთობა სტუდენტებთან.

ბატონი ლერი მზრუნველი მამა, მოსიყვარულე ბაბუა და საიმედო მეგობარია.

ვუსურვებთ ბატონ ლერის ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და წარმატებულ შემოქმედებით და შრომით საქმიანობას.



უსაზღვროდ დიდია პროფესორ ნიკოლოზ ბერძაშვილის დვაწლი ქიმიური მეცნიერების, ქიმიური ტექნოლოგიის, საქართველოს ნავთობების გადამუშავების ტექნოლოგიებისა და განათლების განვითარების საქმეში. ამაზე მეტყველებს მის მიერ გამოქვეყნებული სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, საგეოროვნოების, ორასზე მეტი სტატიის ჩამონათვალი და ათეული წლების მანძილზე აღზრდილი ქიმიკოს-ინჟინერ-ტექნოლოგთა სიმრავლე.

6. ბერძაშვილის შრომები ეხება არამარტო ნავთობური საწვავების გაკეთილშობილებას და ოქტანური რიცხვის გაზრდას ალუმინ-სილიკატური თიხა-მიწების კატალიზატორებად გამოყენების საფუძველზე, არამედ ნავთობებიდან სხვა ძვირფასი პროდუქტების - ლუმინოფორების, თეთრი ზეთების და ა.შ. მიღების ტექნოლოგიების შემუშავებას და დანერგვას.

ბატონმა ნიკომ საქართველოს ნორიოს ნავთობიდან მიიღო ქართული ლუმინოფორი „ნორიოლი“, რომელიც გამოიყენება ლითონებისა და პლასტიკური მასების საფუძველზე დამზადებული დეტალების დაფენტოსკოპიაში. მის სახელთანაა დაკავშირებული არასასაქონლო დანიშნულების ნავთ-გაზოილის ფრაქციის კატალიზური გარდაქმნით ლუმინესცენტური სითხის - „შუბეკოლი“-ის მიღება, რომელმაც ყოფილი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საპატიო ჯილდო დაიმსახურა ნაკლები ტრექსიკურობის, მიღებისა და მოხმარების წესის სიმარტივისა და სიაფის გამო.

უდავოდ დიდია ამ პრაქტიკოსი მეცნიერის კვლევები ბუნებრივი ნედლეულის გუმბრინის გამოყენებასთან დაკავშირებით. მან რიცხოვმინგის პროცესში კატალიზატორად პირველმა გამოიყენა გააქტივებული გუმბრინი სანათი ნავთისა და ნავთგაზოილის ფრაქციიდან რეაქტიული საწვავის მისაღებად. ბატონი ნიკოს მიერ შესწავლიდნა ნავთები ფრაქციების გამოსავლიანობის გაზრდის შესაძლებლობა სხვადასხვა მისართის - სოფლის მეურნეობის თევადი ნარჩენების და მეორადი პროდუქტების თანაობისას ნავთობების ატმოსფერული გამოხდის პროცესში.

მნიშვნელოვანია ბატონ ნიკოს დვაწლი საქართველოს ნავთობებიდან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საპატიოცემულოდ სახელდებული მინერალური თეთრი ზეთების „სპიოლ-1“ და „სპიოლ-2“ მიღებასთან დაკავშირებით. მისი სელმძღვნელობით განხორციელდა აღნიშნული პროდუქციის მიმღები დანადგარის მონტაჟი ბათუმის ნავთობგადამუშავებელ ქარხნაში.

ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ბატონი ნიკო ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორგანული და ნავთობქიმიური ტექნოლოგიის კათედრას, აქტიურად იყო ჩაბმული ფაკულტეტისა და მშობლიური უმაღლესი სკოლის სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში.

ბატონი ნიკო სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა თანამშრომლებს, კოლეგებსა და სტუდენტებს შორის.

ბატონი ნიკოს სსოვნა, როგორც ამაგდარი აღმზრდების და დვაწლმოსილი მეცნიერისა მუდამ იარსებებს მისი აღზრდილების, კოლეგებისა და ახლობლების მესსიერებაში.

ბატონი ნიკოს სსოვნას დირსეულ პატივს მიაგებენ მისი დიდი ოჯახის წევრები: შვილი - მანანა, რომელიც დღემდე ბატონი ნიკოს მიერ დაფუძნებული მიმართულების პედაგოგია, მისი შვილები ირაკლი და ნიკოლოზი და ექსი შვილიშვილი, ასევე შვილიშვილები - ნიკოლოზი და მიხეილი - უდროოდ, ტრაგიკულად დაღუპული ვაჟის - ვახტანგის შვილები.

ბატონი ნიკო, მდაბლად ვხრით თაგს თქვენი სსოვნის წინაშე.